# დროშა

№ 7 ივლისი 1971

ეროვნული ბიბლიოთეკა





— მთელი ქუჩა ჩვენია.

ფოტო გ. დადვაძისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დილა

№ 7 (416) ივლისი, 1971 წ.

გამოცემის წელი 49-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-
პოლიტიკური და სალიტერატურო-
სამხატვრო ჟურნალი

# მიწის ანბანი



▲ კომბაინი შირაქის ველზე.

## საუბარი ხნულის პირას

— უფრო გაბედულად ჩაუშვი, ბიჭო, გუთანი, სიღრმისა ნუ გეშინია!

— შიში რა შუაშია, ძია გრიშა, მე ის მაეჭვებს, რომ კირი არ ამოგვიყვეს და ახალდარგული ვაზი არ წაგვიხდინოს.

— ბიძიკო, შენ გუთნისდედა ხარ და არ უნდა იცოდე, რომ ხირხატიან ადგილებს კირიანი ფენა არა აქვს?

— რა ვიცი, — დარცხვენით თქვა ჭაბუკმა, — მე სულერთავად ამ ტრაქტორს ვუტრიალებ, რომ მუშაობაში არ მიღალატოს და...

— მარტო მანქანისა კი არა, მიწის ანბანიც კარგად უნდა იცოდე... აქ წინათ ხორბალს ვთესავდით, ახლა ვენახის გაშენება გადავწყვიტეთ. ჰექტარზე ოცოცდაორ ცენტნერ ხორბალს ვღებულობდით. ზემოქედელებმა კი წელს, აი იმ მზისგულზე გადაჭიმულ სამასჰექტარიან ზვრებში, თითო ჰექტარზე ასოციასოცდაათი ცენტნერი ყურძენი მოიყვანეს. ამ ნიადაგს კირის ფენა რომ ჰქონდეს, ვაზი ასე არ იკეთილებდა.

ტრაქტორისტი სმენად იყო ქცეული, აგრონომი კი განაგრძობდა:

— არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ხირხატი რქაწითლის დედაა. ასეთმა ნიადაგმა ორმოც სანტიმეტრის დაბლა იცის ტენის შენახვა და სასტიკი გვალვების დროს ასაზრდოებს მცენარეს. ამიტომ შენც სავენახე ორპირი რაც შეიძლება უფრო ღრმად უნდა მოხნა... წელანაც გითხარი, მიწის ანბანი უნდა იცოდე-მეთქი, გადაშლილი წიგნივით უნდა კითხულობდე... დამარცვლით კი არა, რომ იტყვიან ხოლმე, წყალივით... მიწას თავისი ენა აქვს, უნდა გაუგო, თორემ მოსავლის იმედი ნუ გექნება.

— მაგდენი არ ვიცოდი, — დარცხვენით თქვა ჭაბუკმა და გუთნის საწესრიგო ბერკეტს დასწვდა. მძლავრმა მუხლუხამ ერთი კი დაიხრჭიალა და ადგილიდან დაიძრა. წინ წასულმა მანქანამ ვეებერთელა არხივით გაჭრილი სავენახე ორპირის კვალი უკან მოიტოვა.

ხანდაზმული აგრონომი, ახალგაზრდული სიმკვირცხლით ჩახტა კვალში, ორპირის სიღრმე გაზომა, ფხვიერი მიწა მუჭაში მოიქცია, მისი სურნელი იყნოსა, სახეზე კმაყოფილება აღებეჭდა და კვალში მობუბუნე მანქანას მიაყოლა თვალი, უკან შემობრუნებული ტრაქტორისტის მზერა რომ დაიჭირა, კარგიაო, — მიაძახა და ხელის დაქნევით ანიშნა — განაგრძეო.

გასული ხუთწლედის ბოლო სამეურნეო წელი დიდი წარმატებებით დაამთავრეს წითელწყაროელმა კოლმეურნეებმა. ამ დროისათვის ხუთი წლის ფულადმა შემოსავალმა 108 მილიონ 163 ათას მანეთს მიაღწია. ამ თანხებიდან დიდი ადგილი უჭირავს შემოსავალს მევენახეობიდან— მარტო გასულ წელს აქაურმა კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს თორმეტ ათას ტონაზე მეტი ყურძენი მიჰყიდეს.

ამიტომ იყო, რომ წითელ წყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში ახალი ხუთწლედის მიჯნაზე ზვრების გაფართოება გადაწყვიტეს და ზილიჩაში სავენახე ორპირის დაბრუნებას გასულ შემოდგომიდანვე შეუდგნენ. ამ საქმის მოთავე და ენთუზიასტი კვლავაც მთავარი აგრონომი გრიგოლ კოვზირიძე იყო, რომლის ხელმძღვანელობით მომზადდა და დაიგეგმა ახალი ორპირი.

## მეცხრე ხუთწლედის დასაწყისი

წითელწყაროელმა კოლმეურნეებმა ახალი შრომითი შემართებით დაიწყეს ახალი ხუთწლედის პირველი სამეურნეო წელი. ჯერ ისევ ზამთრის სუსხი იდგა შირაქის, ტარიბანისა და ზილიჩას ველებზე, რომ ივრის ხეობაში მეცხვარეებმა თავიანთი შრომის პირველი ნაყოფის აღება დაიწყეს — დოლი გაჩაღდა.

მეცხვარეებმა პირის გატეხა არ იციან: მშობლიური კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას მათ წლის პირველი ნამატის — 80 ათასამდე ბატკნის მიღება-შენარჩუნებით უპატაკეს...

მეცხვარეებს არც მემინდვრეები ჩამორჩნენ — გაზაფხულის დადგომამდე დროულად მოამზადეს ტექნიკა და 38 ათასი ჰექტარი მზრალი საგაზაფხულო კულტურების დასათესად მიწას დაწესებულ ვადებში მიაბარეს თესლი და ნაამაგარმაც არ იმტყუნა...

გრიგოლ კოვზირიძეს ადრე გაზაფხულზე შირაქში შევხვდი. ის იყო ზილიჩის მინდვრებიდან დაბრუნებულიყო. ახალ ორპირში ნამყენი ვაზის ჩაყრა მოეთავებინა და შირაქის ბოლოზე მზესუმზირას თესვას ხელმძღვანელობდა...

— წელს ჩვენი მექანიზატორები, — თქვა აგრონომმა, — განსაკუთრებით დიდი გატაცებით მუშაობენ... გასაგებიც არის... ახალი ხუთწლედის განხორციელებას ვიწყებთ, ვადაზე ადრე უნდა შევასრულოთ იგი. ამისათვის ჩვენს მექანიზატორებს გამოცდილებაც ყოფნით და ძალაც შესწევთ...

მთელი მინდორი ახმაურებულია. ირგვლივ ტრაქტორების გუგუნი და მექანიზატორთა შეძახილები ისმის, გაშლილან რკინის ხარები, გზებზე სატვირთო ავტომანქანები მიმოქრიან. ერთი სიტყვით, საქართველოს პურის ბეღელი — შირაქი გუგუნებს და მისი ეს საგაზაფხულო გუგუნი ეხმიანება ახალი ხუთწლედის მძლავრ მაჯისცემას.

სულ მალე მანქანით გავუყევით ქარსაფარი ზოლების ბუჩქნარებში ჩაკარგულ გზას. მგზავრული საუბარი ავაწყეთ. შირაქის დღევანდელმა სახემ ახლო წარსულის სურათები გადაგვიშალა თვალწინ. იმ წარსულსა და დღევანდელობას შორის კი, მართლაც, დიდი კონტრასტებია.

## პირველი აგრონომი

ილია ჭავჭავაძე საქართველოში რამდენიმე აგრონომს ნატრობდა, რომლებიც ქართველი გლეხის მიწათმოქმედებას მეცნიერულ საფუძველზე წარმართავდნენ.

ჩვენმა დღევანდელობამ წარსულის ყველა ოცნებას გაუსწრო წინ.

„ლენინის ანდერძი“, „პარიზის კომუნა“, „იმედის სხივი“, „შრომის იმედი“, „მიწა და მარჯვენა“ — ასე ეწოდებოდა პირველ კოლმეურნეობებს, რომლებიც პირველი სიხარულის მაუწყებელნი იყვნენ.

გრიგოლ კოვზირიძეც ერთი პირველთაგანი იყო იმ აგრონომთა შორის, ვინც მხარში ამოუდგნენ არტელებში დარაზმულ გლეხკაცებს. 1932 წლის მარტში იგი დაინიშნა წითელ წყაროს სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მთავარ აგრონომად. ეს ის წლები იყო, როცა ახალი ტექნიკა პირველად იკიდებდა ფეხს ძველ ქართულ მიწაზე.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა



ზემოქედელი მექანიზატორი ნოდარ დავითური

— რაიონში რომ ჩავედი, — იგონებს გრიგოლი, — კოლმეურნეობები ის-ის იყო წელში იმართებოდნენ. ერთდროულად ვემსახურებოდი ორმოცდახუთ კოლმეურნეობას, რომლებსაც მხოლოდ „ფორდზონის" ტიპის ექვსი ტრაქტორი ჰქონდათ. მიწას უმთავრესად ცოცხალი გამწევი ძალით ამუშავებდნენ. დღევანდელი წითელ წყაროს რაიონის ფარგლებში მაშინ 8.000 ჰექტარზე ითესებოდა ხორბალი, დღეს კი ხორბლის ნათესებს 20 ათასზე მეტი ჰექტარი უჭირავს და 11-12 ცენტნერის ნაცვლად, წინათ გლეხები დიდ მოსავლად რომ თვლიდნენ, თვითეულ ჰექტარზე 20-22 ცენტნერი ხორბალი მოჰყავთ.

...საღამომდე ვიარეთ მინდვრის დაულეველ გზებზე.

მეორმოცე წელიწადია გრიგოლ კოვზირიძე ამ გზებით დადის და მართლაც გადაშლილი წიგნივით კითხულობს მიწის ანბანს.

— დაბერდი, ახლა დაისვენე, შვილიშვილებში შეირგე სიბერის დღეებიო, — უთხრეს გრიგოლს, — პენსია დაუნიშნეს, მაგრამ შინ ვერ მოისვენა, ან რა გააჩერებს შრომაში გაჰაღარავებულ კაცს. შირაქის ველზე პირველი ყვავილი რომ გაიცინებს, ალიონზე ტოროლა მინდვრის საგალობელს რომ იტყვის, თუ იქ ნამიან ბალახს არ მიესალბუნა, თუ ტრაქტორის გუგუნს ფიქრი არ დაადევნა, აბა როგორ გაძლებს...

ოცდათვრამეტი ტრაქტორი და კომბაინი მუშაობს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებზე, ყველა მათგანს სწვდება გამოცდილი აგრონომის თვალი. გამრჯე კოლმეურნეებთან ერთად იგი ქმნის ხვავსა და ბარაქას.

აგრონომმა დრო რომ მოიხელთა, საუბარი განვაგრძეთ.

ახსენდება მოხუცს კოლექტიური მეურნეობის გარიჟრაჟი. რა მალე გარბის დრო. ამ მოკლე დროში, პირველი აგრონომის თვალწინ როგორ იცვალეს ფერი ჩამორჩენილმა სოფლებმა, როგორ გამოიცვალა, ამაღლდა წინათ დაბეჩავებული ქიზიყელი გლეხკაცობა.

სადღა ნახავთ დღეს ჩალურ ქოხმახებს! კულტურის სახლები კი არა, სასახლეები ამშვენებს თვითეულ სოფელს. მარტო ზემო მაჩხაანის დიდებული საკოლმეურნეო კულტურის სახლი 700 მაყურებელს იტევს, სოფელ ჯაფარიძისა — 650-ს. შესანიშნავი კულტურის სასახლეები ამშვენებს სოფლებს ზემო ქედს, გამარჯვებას, არხილოსკალოს, ქვემო ქედს.

გრიგოლ კოვზირიძეს კარგად ახსოვს მთებიდან შირაქის ველზე ჩამოსახლებული გლეხების — ზემო ქედის, არხილოსკალოსა და ქვემო ქედის მოსახლეობის გაჭირვება, სასმელი წყლის ნაკლებობა. აქ ღვინო უფრო იაფი ღირდა, ვიდრე ჭიქა წყალი. ამაზე წუხდა დიდი ქართველი მგოსანი ვაჟა-ფშაველა და აყენებდა საკითხს ამ სოფლების სასმელი წყლით უზრუნველყოფის თაობაზე. მაგრამ ამაოდ. ამ ოცნებას მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში შეესხა ფრთები. ეს სოფლები ახლა კავკასიონის მთებიდან კატეხ-ჩაის ანკარა, მაცოცხლებელ სასმელ წყალს იღებენ.

პირველი აგრონომის თვალწინ გაიზარდა და ქალაქად გარდაიქმნა წითელწყარო, სავსე ყველა სიკეთითა და სიუხვით.

მინდვრის სამუშაოებში კომპლექსურმა მექანიზაციამ განდევნა მძიმე და მომქანცველი ხელით შრომა. კომპლექსური მექანიზაცია დამკვიდრდა მეცხოველეობის ფერმებშიც.

ახლა რაიონის მინდვრებს 158 სპეციალისტი დასტრიალებს თავს, მათგან 99 აგრონომი მემინდვრეობის, მევენახეობისა თუ მებაღეობის ბრიგადებს უდგას სათავეში. 50 ათასზე მეტ ჰექტარს უვლიან, საიდანაც 22 ათასი ჰექტარი ხორბალს უჭირავს, 458 ტრაქტორი და 194 კომბაინი გუგუნებს შირაქის მინდვრებზე.

მწუხრისას დავტოვეთ შირაქი, მოვდიოდით და ისევ ჩაგვესმოდა ველზე მობუბუნე ტრაქტორების გუგუნისა და კოლმეურნეთა შეძახილების ხმები, ეს იყო ახალი ხუთწლედის პირველი წლის შემართებათა მაცოცხლებელი გადაძახილი.

გიორგი გოჩიტაშვილი

ზემოქედელები პირუტყვის საკვების დასამზადებლად მიეშურებიან.



გიორგი გიგაური

საქართველოს



ცამ სამკაულად მზე დაიბნია,
ამ ციდან წასვლა არ უნდა მნათობს,
თავს დალუდუნებს ბარტყებს ნიბლია,
ფუტკარს ყვავილთა სურნელი ათრობს,
რტო აუყრია გამხმარ წიფლიანს,
გამხდარა თემი მშვიდი და სათნო...

მე რომ მეხილა ეს სინამდვილე,
ფრთა დამილოცა მთების არწივმა
და სიყვარულმა გამთადვილა
მოყვასისათვის თავის გაწირვა.

მატკბობს ღიმილი,
მხიბლავს სილაღე
შენი ხალხის და შენი ბუნების,
ძალავ,
რა სითბო შემოგვინახე
ახე მარადი,
ახე უძლევი!
მთამ აიკეცა ნისლის მანდილი,
კრძალვით ქუდს ვუხდი მიწის მზიანეთს,
მამულო,
სიტყვა გამიადვილე,
დამალოცვინე მემატიანე!

ჩემი ჩუმი ქუჩა



ჩემი ფანჯარა ქუჩაში გადის,
ქუჩა მღელვარე სულში იჭრება,
ხშირად მიხდება გაღება ფანჯრის,
მზერის დაძაბვა,
თავდავიწყება.
ქუჩა სავსეა ნათელ ფერებით,
ტკბილი ჰანგებით სავსეა ქუჩა,
გულო, ლამაზებს რომ ეფერები,
ცუოფი ყველას?
ხარ ერთი მუჭა.

# ზაური — მოწინავე მეჩაიე

დილის მზე ჯერ რუხის ციხის კონგურებს გაანათებს და იქიდან გადახედავს ენგურს. მდინარის გაღმა ჭუბურხინჯელები მოსდებიან პლანტაციებს, ამ დროისათვის ისინი უკვე კარგა ხანია შრომაში არიან გართულნი.

აგროტექნიკოსს საქმეს რა გამოულევს. დილითვე ის იმ ადამიანებთან ერთად უნდა წამოდგეს, სოფელში ყველაზე ადრე რომ იღვიძებენ. სათქმელად ადვილია, და თერთმეტი ბრიგადა უნდა შემოიაროს, ჩაის და თამბაქოს პლანტაციები შეამოწმოს.

ასე მიდის სერგო ყოლბაიას ყოველი დღე.

მეშვიდე ბრიგადის პლანტაცია ზედ სერგოს ჭიშკართან იწყება. ეს ბრიგადა სულ ახლახანს მექი ძანძავას ჩააბარეს, ტექნიკუმი ის იყო დაამთავრა მექიმ, ჯერ დიდი გამოცდილება არა აქვს, მაგრამ ყოჩაღი კაცია, საიმედო... მაინც გული არ უთმენს აგროტექნიკოსს, უნდა ინახულოს, იქნებ რაიმე დახმარება სჭირია.

ყველაზე ადრე მეჩაიე აგრა ძანძავა მოსულიყო პლანტაციაში. ზრუნვით დასტრიალებდა თავს ცვარდაფენილ ბუჩქებს, არჩევდა ნორჩ ფოთლებს და ავსებდა კალათას.

აგრა მეჩაიეც არის, მეთამბაქოეც, მეაბრეშუმეც, და ყველგან მადლი და ბარაქა მოსდევს მის შრომას.

სერგო ესაუბრა აგრასაც, ბრიგადირსაც და აქედან მეექვსე ბრიგადას მიაშურა.

ეს ბრიგადა ყველაზე ძალიან აინტერესებს აგროტექნიკოსს, მარტო მას კი არა, სოფლის ხელმძღვანელობასაც. ბრიგადაში სახელმოხვეჭილი მეჩაიე ქალები არიან, მაგრამ ეს ხუთი წელიწადია მათ ლამის გაუსწროს ზაურ ქირიამ, უბრალო, შუატანის ახალგაზრდა ბიჭმა.

ზაურის დედაც მოწინავე მეჩაიეა. დღეს დედაშვილი ერთ პლანტაციაში ტრიალებენ.

— როგორ, სად ბიჭი და სად ჩაის კრეფაო? — იქნებ გაიოცოს ვინმემ.

საოცარი კი აქ არაფერია. მართალია, ჩაი ძნელად გულდასადებია, მაგრამ ზაურის ბავშვობიდან უყვარს მწვანე პლანტაცია, უყვარს შრომა და წარმატების საწინდარიც ეს არის.

სერგომ ზაურისაკენ გასწია. ასფალტზე რომ გამოვიდა, მის ახლოს ვიღაცამ „ვოლგა" დაამუხრუჭა, კაბინის კარი გაიღო და იქიდან რაიონის საწარმოო სამმართველოს უფროსი გადმოვიდა.

ალექსანდრე აბლოთიას კანტორაში არავინ დახვედრია და ისიც პლანტაციებში წამოსულა. პირველ წუთშივე საქმეზე ჩამოუგდო სიტყვა აგროტექნიკოსს.

— ყველაფერი რიგზეა, ბატონო ალიოშა, ჩაის კრეფას ჯერჯერობით შერჩევით ვაწარმოებთ, — უპასუხა სერგომ შეკითხვაზე.

— ის ბიჭი რას შვრება, წელს მედალი რომ მიიღო? — დაეკითხა სამმართველოს უფროსი.

— ზაური წელსაც უხვ მოსავალს გვპირდება, ახლა სწორედ მასთან მივდიოდი.

სამმართველოს უფროსი გამოეთხოვა აგროტექნიკოსს; სერგო სულ მალე ზაურის ნაკვეთში იყო.

სკოლისდროინდელმა მეგობრებმა დიდხანს ისაუბრეს, აგროტექნიკოსი წასასვლელად რომ გაემზადა, ზაურიმ უთხრა:

— ამაღამ, ხომ იცი, პატარა სუფრა მაქვს, დასაპატიჟებელი არ გამიხდე, კრების შემდეგ ყველანი ჩემთან მოდიან!

აგროტექნიკოსმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

ზაურის სახელი კარგა ხანია გასცდა გალის რაიონის ფარგლებს, წელს რიგით მეოთხე ჯილდო მიიღო სახელოვანმა მეჩაიემ.

ზაური ამაღამ სუფრას შლის, პატიჟობს მეზობლებს, ყველას, ვისთანაც მეგობრობს და, სერგო როგორ არ მივა?

აგროტექნიკოსმა ახლა მიშო აქირთავას ბრიგადისკენ იბრუნა პირი.

მიშო უხუცესი ბრიგადირია ჭუბურხინჯში, საქმეც მუდამ კარგად აქვს აწყობილი.

„იქიდან ნალამუში წავალ" — ფიქრობს სერგო. ნალამუ სათანჯოს ფერდობის ძირს გაფენილი ლამაზი ვაკეა. აქ ჩაის მშვენიერი პლანტაციებია გაშლილი.

ნალამუდან აგროტექნიკოსი „ბუღალტრის ბრიგადაში" გადავა, ამ სახელს ჭუბურხინჯლები ტერენტი ხასაიას ბრიგადას ეძახიან. ტერენტი მეზობელ კოლმეურნეობაში მთავარ ბუღალტრად მუშაობდა რამდენიმე წელიწადს, მერე თავისი სახლკარი და მეზობლები არჩია ყველაფერს, დაბრუნდა ჭუბურხინჯში და ბრიგადას ჩაუდგა სათავეში.

...სერგომ მოიარა ყველა ბრიგადა, შეამოწმა თამბაქოს ჩითილებიც, გზისპირზე დარგული ჭადრის ნარგავები და კანტორისაკენ მიმავალ გზას დაადგა.

ფიქრმა წაიღო, შინმოუსვლელი მამა გაახსენდა.

ომის პირველსავე დღეებში ასობით ჭუბურხინჯელი წავიდა ფრონტზე, სერგოს ბაბუამ, ჯოტო ყოლბაიამ ხუთი ვაჟკაცი გაგზავნა ბრძოლის ველზე. ათი რომ ჰყოლოდა, ათივეს დაულოცავდა გზას. ხუთიდან მხოლოდ ერთი — კაპიტო იყო დაოჯახებული, პატარა ბიჭუნა ჰყავდა, და უხაროდა მოხუცს — ოჯახს კერის გამღვივებელი ეყოლებაო.

ხუთმა ძმამ — კაპიტომ, ანტიპამ, კაკომ, გერონტიმ, ვანიამ თავი დასდეს ბრძოლის ველზე.

სერგო დარაჯობს მათ კერას, ელფერს და შნოს მატებს ყველაფერს.

ძველებური ოდა-სახლი მაღლა აზიდა სერგომ, სიგანე და სიგრძე მოუმატა, საკარმიდამო ნაკვეთი ახალი ხეხილით გაალამაზა.

ჭუბურხინჯის კლუბში ხალხი მოგროვილიყო. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბუჯუკი ლაგვილავა, მთავარი აგრონომი ტერენტი ძანძავა, ბუღალტერი ალიოშა ქორთუა, ეკონომისტი გიორგი ყოლბაია უკვე პრეზიდიუმის მაგიდასთან ისხდნენ დღეს ჭუბურხინჯელების ცხოვრებაში ახალი ამბავი ხდებოდა: ორი კოლმეურნეობის ბაზაზე იქმნებოდა ჩაის საბჭოთა მეურნეობა.



ჭუბურხინჯი. ჩაის პლანტაცია.

ჭუბურხინჯი. მეცხოველეობის ფერმა.



მალე რაიონის ხელმძღვანელი მუშაკებიც მოვიდნენ, გაიმართა სჯა-ბაასი, ახალ მეურნეობას ჭუბურხინჯის სტალინის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობა ეწოდა. მეურნეობის სათავეში ისევ ისინი დარჩნენ, ვინც წლების განმავლობაში წარმატებით უძღვებოდნენ კოლმეურნეობას.

ზაურ ქირიას ვახშამი სრულიად მოულოდნელად დაემთხვა ჭუბურხინჯელთა ამ საზეიმო დღეს.

 იპოლიტე გამსახურდია
გალი, ჭუბურხინჯი.



ბიბლიოთეკა მუდამ სავსეა კურსანტებით.

...თელავიდან სოფელ გულგულაში მიმავალ ავტობუსში ხუთმა თავზეხელაღებულმა, შეიარაღებულმა ბოროტმოქმედმა მგზავრები გაძარცვეს, თავში მძიმედ დაჭრეს ავტობუსის შოფერი ალექსანდრე გვრიტიშვილი და ტყეში მიიმალნენ.

მომხდარი ამბის შესახებ თელავის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებას აცნობეს. დამნაშავეების შესაპყრობად მაშინვე გაეშურნენ უბნის ინსპექტორები — გ. არაბული და რ. კობიაშვილი.

მილიციის მუშაკებმა გულდასმით დაათვალიერეს სოფელ კურდღელაურისაკენ მიმავალი გზა, მოიარეს მინდვრები, გადაჩხრიკეს ტყე-ბარდები და ის იყო თელავ-ყვარელის გზაზე გავიდნენ, რომ შორიდან ორი საეჭვო ახალგაზრდა კაცი შენიშნეს.

მილიციელების გამოჩენამ ახალგაზრდები შეაკრთო. მათ ნაბიჯს აუჩქარეს, პირველივე შემხვედრი მანქანა გააჩერეს, სწრაფად ჩასხდნენ შიგ და გეზი ყვარელისაკენ აიღეს.

გ. არაბული და რ. კობიაშვილი მანქანით დაედევნენ გაქცეულებს. ჰაერში გამაფრთხილებელი სროლის შემდეგ წინ მიმავალმა მანქანამ შეჩერების ნაცვლად კიდევ უფრო მოუმატა სიჩქარეს. მაშინ გ. არაბულმა უკიდურეს საშუალებას მიმართა: მანქანის საბურავებს რევოლვერის ტყვიები დაახალა.

მანქანამ სვლას უკლო, რამდენიმე მეტრი კიდევ გაიარა და მოსახვევთან შეჩერდა.

ვიდრე დამნაშავეები რაიმეს მოსაზრებას მოასწრებდნენ, მილიციელები მანქანასთან მიიჭრნენ, გაოგნებულ ზელიმხან ნაზიროვს და ვასილ კევლიშვილს იარაღი აჰყარეს, თავიანთ მანქანაში ჩასვეს და მილიციისაკენ გააქანეს.

რამდენიმე საათის შემდეგ ოპერატიულმა მუშაკებმა ტყეში გაქცეული დანარჩენი სამი დამნაშავეც შეიპყრეს და მილიციაში მიიყვანეს.

...თბილისის მილიციის სპეციალურ საშუალო სკოლაში ამას წინათ მოსკოველი პ. ფონინის წერილი მოვიდა. აი რას იწერებოდა იგი:

„ახალი ათონის დასასვენებელ სახლში ვისვენებდი.

აქაურმა ბუნებამ და კარგმა მომსახურებამ მომხიბლა, მაგრამ გავიდა რამდენიმე დღე და ყველაფერი ჩამშხამდა.

ერთხელ, როცა დამსვენებლები კლუბში ვიყავით, ვიღაცა შეიპარა ჩემს პალატაში და გამძარცვა, ყველაფერი წაიღო, რაც კი გამაჩნდა.

მომხდარი ამბის შესახებ დაუყოვნებლივ ვაცნობე მილიციის თანამშრომელს ოთარ ჭანტურიას.

დამნაშავის მიგნება თითქმის შეუძლებელი ხდებოდა, რადგან მე დაბნეული ვიყავი და არავისზე არ შემეძლო ეჭვის აღება.

ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ოთარ ჭანტურიამ სამი დღის შემდეგ მილიციაში დამიბარა და უკლებლივ გადმომცა ჩემი დანაკარგი.

# მილიციის მომავალი ოფიცრები

კრიმინალისტური ლაბორატორია.



ქურდი ქალაქ გორკის მკვიდრი ვინმე ტ. სელიხოვა აღმოჩნდა.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მილიციელ ოთარ ჭანტურიას გულითადი მადლობა გადავუხადო საზრიანობისა და ჩემდამი გამოჩენილი მზრუნველობისათვის".

ეს ორი შემთხვევა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას მოხდა, მაგრამ მათ ერთი რამ აკავშირებთ: მილიციის მუშაკები, რომლებმაც შეიარაღებული ბოროტმოქმედნი შეიპყრეს და დასასვენებელ სახლში შეპარული ქურდი აღმოაჩინეს — თბილისის მილიციის სპეციალური საშუალო სკოლის აღზრდილები არიან.

ვინ მოსთვლის რამდენი ამბის გახსენება შეიძლება, რომლებიც ამ სკოლაში აღზრდილ მილიციელთა მამაცობასა და საზრიანობაზე მეტყველებენ. სკოლის არქივში ინახება სხვადასხვა კუთხიდან მოსული უამრავი ბარათი, ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული წერილების ამონაჭრები, რომლებიც ამ ადამიანების თავდადებულ მუშაობაზე მოგვითხრობენ.

თბილისის მილიციის სკოლა 1925 წელს დაარსდა. სკოლას იმ ხანებში არც ხეირიანი შენობა ჰქონდა, არც ლაბორატორია და სპეციალური კაბინეტები, არც საკმაო რაოდენობით ჰყავდა გამოცდილი პედაგოგები.

აბა ახლა ნახეთ ეს სკოლა. ადამიანს გულს გაუხარებს კოხტა და ნათელი შენობა, ოთახებში და ეზოში დამყარებული ხანიმუშო სისუფთავე, წესრიგი და მყუდროება.

სკოლა აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით და ხაწვალო მოწყობილობით, გახსნილია კრიმინალისტური, იურიდიული და სხვა სპეციალური კაბინეტები. სკოლას აქვს საუკეთესო კლუბი, მდიდარი ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, ნაყოფიერად მუშაობენ ქართული ხალხური სიმღერის, ცეკვის, ლიტერატურის წრეები.



ფიცის მიღება.



სკოლას თავისი ბოსტანი აქვს.

მილიციის სკოლაში საშუალოდამთავრებულ მოწინავე ახალგაზრდებს იღებენ. ისინი ორი წლის განმავლობაში გულმოდგინედ ეუფლებიან იურიდიულ მეცნიერებას, სწავლობენ სისხლის სამართლის დამნაშავეობასთან ბრძოლის ხელოვნებას...

სწავლის დამთავრების შემდეგ სკოლის კურსანტებს საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ბრძანებით „მილიციის ლეიტენანტის" წოდება ენიჭებათ და სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე იგზავნებიან სამუშაოდ.

მილიციის ახალგაზრდა ოფიცრები აქედან მიეშურებიან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში და თან მიაქვთ სკოლაში გამომუშავებული საუკეთესო ჩვევები, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული, მდიდარი ცოდნა და გამოცდილება, ხალხის სამსახურისათვის მგზნებარე გული.

ოთარ დემეტრაშვილი

ფოტო თ. არჩვაძისა და ა. გოგოლაძისა.



დასვენების წუთები.

სასროლეთზე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# პაპა და შვილიშვილი



კონსტანტინე გამსახურდია შვილიშვილთან ერთად.

ამ სურათს ბევრი განმარტება არ სჭირდება — ყოველი მკითხველი უმალ იცნობს დიდ ქართველ მწერალს კონსტანტინე გამსახურდიას. იგი თავის საყვარელ, მუხისაგან გამოჭრილ სავარძელში ზის. გულზე რომ ბავშვი ეხუტება, ისიც კონსტანტინე გამსახურდიაა, მისი შვილიშვილი. ისიც მწერალი გახლავთ. აქ გამოქვეყნებული ესკიზები „სოფელში“, „თავისთვის და სხვისთვის“, „იგავ-არაკი“ — სწორედ მას ეკუთვნის — კონსტანტინე მცირეს. მისი პირველი მოთხრობა „მოსიყვარულე დოთია“ შარშან დაიბეჭდა გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ ფურცლებზე.

პაპა ოთხმოცი წლისაა, შვილიშვილი — ათი წლისა. ისინი განუყრელი მეგობრები არიან. პაპა — აკადემიკოსია, შვილიშვილი — ჯერ მესამე კლასშია; სხედან ორივენი კოლხურ კოშკში და წერენ... დასვენების წუთებში გამოდიან კოშკის ეზოში და თვალს ადევნებენ ბალახებში მოთამაშე შვლის ნუკრს.

კონსტანტინე გამსახურდიას დაბადებიდან 80 წლისთავი შეუსრულდა. საბჭოთა მთავრობამ იგი დააჯილდოვა ლენინის ორდენით. მისალოცი დეპეშები მწერალს მოსდის ყველა მხრიდან.

ვუსურვოთ დიდ კონსტანტინეს დღეგრძელობა ჩვენი ხალხის, ჩვენი საბჭოთა კულტურის საკეთილდღეოდ, ხოლო პატარა კონსტანტინეს ვუსურვოთ დამსგავსებოდეს თავის პაპას.

აქ გამოქვეყნებული ესკიზები პატარა კონსტანტინემ თავის პაპას მიუძღვნა საიუბილეოდ.



## იგავ-არაკი

ერთხელ თაგვმა ვირს ბალახის ღერო მოჰპარა. ვირმა იწყინა, თაგვს წიხლი ამოჰკრა და გააბრუა. შორიახლოს რუხი ჭიანჭველა დაბორიალებდა; ამ ამბის შემყურემ ვირს ხვეწნა დაუწყო — წიხლების დაშენა მასწავლეო. ვირმა უთხრა: — მე რას მეხვეწები, შემხედე, ისწავლე და ამოჰკარიო. გაზულუქებული ჭიანჭველა თაგვს მიეჭრა და თავისი უსუსური პატარა ფეხები მძლავრად, ტყუპად ამოჰკრა. ამასობაში თაგვი ნელ-ნელა გონს მოეგო. პირველი წიხლის ამოკვრაზე ვერა იგრძნო რა, მეორე იერიშზე კი ისე შეელიტინა, რომ შმაგივით ჩეწამოიჭრა და ჭიანჭველაც გაჭყლიტა.

## სოფელში

დადგა მკათათვის მცხუნვარე დღეები. მზის სიცხოველით დაწყნარებული მიწა ზურმუხტისფრად ბიბინებდა. პურით სავსე თავთუხები ქარისაგან ზღვასავით ღელავდა.

აქა-იქ მწყრების ღუღუნი მოისმოდა. დამორცხვებული წითელი ყაყაჩოები ნაკვერჩხლებივით ღვიოდნენ. შორს დაბურული ლურჯი მთები მოჩანდა. მთის ციცაბო ფერდობს ციხის დანგრეული ფარიდა იცავდა. ასეთი დამხვდა ჩემი საყვარელი სოფელი ჩასვლისას.

ზაფხულის შხაპუნა წვიმებმა ტყე გამოაცოცხლეს, თითქოს პირი დაბანეს. აჟივჟივებულმა ბავშვებმა გვიმრიანი გადაირბინეს და ტყეს შეესივნენ.

პირამდე ავსებული წკნელის კალათები სოკოებმა მოქარგეს. ტკაცუნა ბუხრის ცეცხლზე სურნელს აფრქვევდნენ კეცებში დატყვევებული სოკოები: მეფეთა-მეფე ნიყვი და მისი ქვეშევრდომები: მოვარდისფერო ნაზი ხახვილო, მოცისფერო მტრედო, ფლალი ჭადო და სიზმარივით უფერული მიქლიო. ბუხრის კუნჭულში გარუჯული სიმინდის ტაროები ატუზულიყვნენ, ნაცარში ჩაფლული კვახი კუს ჯავშანივით დაბუღალულიყო. ცეცხლი ტკაცუნობდა, მხიარულობდა და ეალერსებოდა ცეცხლოვანი ენებით ბუხარს. ღვინით სავსე პირმცინარე თუნგულა შორი-ახლოს იდგა.

საქონლის გაბმული ბღავილითა და ბაყაყების კრუალით მთავრდებოდა მოფუსფუსე დღე. მოვერცხლილ არე-მარეს სილურჯე შეროდა. მიიწურა ნეტარი დღეები, ქალაქს დაბრუნების ჟამმაც მოაღწია. თვალწინ მიჰქროდა ნათურებით აელვარებული მთვლემარე და მოქანცული დედაქალაქი.





## თავისთვის და სხვისთვის

ჩვენი ციხის დანგრეულ კარს სადღაც ქვევით ჩაუდიოდა ანკარა, ცივი და მუდამ მხიარული წყალი. მღეროდა განუწყვეტლივ ჭალის წყალი, უგალობდა მთებსა და ტყეს. მის წყალში ნახევრად ჩამდგარი ტირიფის და ძეწნის ხეები მორჩილად ხრიდნენ თავს მის წინაშე. „შენ რომ არა, ჩვენ რა გვეშველებოდაო და ჩვენ რომ არ გჩრდილავდეთ, მცხუნვარე მზე ამოგაშრობდაო“.

მისრიალებდა ყვითელ ხავსიან ლოდებზე ჭალის წყალი. ჩქერალებთან აქაფებული, დაუანგულ ქვიშას მიაშურებდა, მოზრდილ ქვებს შორის დამალულ ლიფსიტებს მიულამუნებდა და ისევ იწყებდა სიმღერას ტყისათვის, მთისათვის და ციხისათვის. მღეროდა წყალი და მღეროდა ხეობაც.

იქვე, შორიახლოს, პატარა ანკარა წყარო მოწანწკარებდა, ჭალის წყალზე გაცილებით პატარა, ნაზი, მაგრამ ცივი და ლაღი. ისიც განუწყვეტლივ მღეროდა, მღეროდა რაღაც გაურკვევლად. ამღერებდა თუნგულებს, ამღერებდა ჩაფებს, არ ჰქონდა მეტი ხმა დაუდგრომელს. მისი სიმღერა ყველაზე კარგად ალბათ ასაკოვან და შეფაკლულ ჭნავის ხეს ესმოდა, რომლის ფესვებშიც იბადებოდა ის.

სოფელი ზოდი.

# ლადო კოტეტიშვილი


ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მედიცინის ისტორიის ფუძემდებელი ლადო კოტეტიშვილი (1895-1940) ჩვენი დროის დიდად განათლებული და განსწავლული პიროვნება იყო. ეს დიდი გაქანების მკვლევარი, ამასთან ერთად, იყო მწერალი, მხატვარი-მოქანდაკე და საერთოდ ხელოვნების დიდი მოყვარული.

ლადო კოტეტიშვილმა 1915 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია და იმავე წელს სწავლა განაგრძო ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე; უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1921 წელს იგი დაბრუნდა საქართველოში და ექიმად მუშაობა დაიწყო ჯერ კახეთში, ხოლო 1922 წლის 27 ივნისიდან მას ნიშნავენ ღორჯომის (ხულოს რაიონი) საექიმო პუნქტის გამგედ.*

ამ დროიდან იწყება მისი ლიტერატურული მოღვაწეობაც. მისი პირველი ნაწარმოები „აჭარაში" — დაწერილია 1923 წელს. ესაა დოკუმენტური მოთხრობა, ან მხატვრული ნარკვევი. მასში ავტორი დიდი ტაქტით, საინტერესო მხატვრული ფორმით, ძარღვიანი ქართულით გადმოგვცემს თავის მოქალაქეობრივ პოზიციას; ავტორი ულრმესი სიყვარულით მოგვითხრობს აჭარაზე, რომელიც საუკუნეების მანძილზე მოძალადეებმა მოსწყვიტეს დედასამშობლოს — საქართველოს, და აი უკვე ჩვენს დროში, რევოლუციის შემდეგ, აჭარამ თავისუფლად ამოისუნთქა, დაიწყო მისი ახალი ისტორია.

ამ დედააზრით არის გამსჭვალული მთელი ნარკვევი. იქნება ეს აჭარის ბუნების შთამბეჭდავი სურათების ჩვენება, აჭარელთა დახასიათება თუ საუბარი აჭარელ მეეტლესთან, ყველგან გამოსჭვივის პატრიოტული გრძნობები, დიდი ტკივილი მამულიშვილისა მწარე წარსულის გამო და სიხარული, გამოწვეული ღვიძლი ძმების კვლავ შეერთებით...

მოვიყვანთ ადგილებს ამ მეტად საინტერესო, დღემდე გამოუქვეყნებელი ნარკვევიდან:

„დილის ათი საათი იქნებოდა, რომ დავტოვეთ ბათუმი. გახურებული მზე უწყალოდ აცხუნებდა ქალაქს. თუ ხანდისხან გაცინებული ზღვიდან გამოხტებოდა გრილი სიო, ისევ უკან გარბოდა შეშინებული. ჩამწკრივებული ნაძვების რიგებს ჩუმად ეცინებოდათ ამის დანახვაზე და მოწყენილნი იზლაზნებოდნენ. თითქოს დაღლილიყვნენ დიდი ხნის ფეხზე დგომით, ქანცმილეულნი, ოდნავ ერწეოდნენ. ბათუმს გავცდით. ტრიალი მინდორი. იმას იქით აჭარის მთები. გეგონებათ, მთებს უკან დაუხევიათ ქალაქიდან და ეს ტრიალი მინდორი დაუთმიათ მისთვის დიდი ჯიუტობით, თვითონ კი მკაცრი ირიბი გაუვლიათ შეტევის მოლოდინში. საკახაბრო. „კახაბერი ჰქვიან ამ ადგილს" — მეუბნება მეეტლე აქაური კარგი ქართულით. ნელი ტემპით გავსჭიმეთ გზა კახაბერში. ზღვა გვშორდება. წინ მივიწევთ... დიდი მდინარის ქურდული მოპარება — ეს ჭოროხია".

ავტორი აგვიწერს მთელ გზას კახაბერზე გავლით; და აი იგი აჭარისწყალს უახლოვდება:

„აფორიაქებული ხმაური. ჭოროხის დუმილი იბზარება თავზარდამცემი სითამამით. ეს აჭარისწყალია, გაქანებული ისარივით რომ მოდის.. ეს ძველი ქართული სითამამეა. ბასრიანი შეხვედრა ელვარე ხმალივით შუამდე ხლეჩს ჭოროხის ტანს. შეურიგებლობის ნიშნად ლურჯ ზოლად ჩასდევს ნაპირ-ნაპირ კარგა მანძილზე. მაგრამ ჭოროხის ზვიადობა მალე აყუჩებს. ახრჩობს. აღუმებს... გზა შემობრუნდება. იწყება აჭარისწყლის ხეობა. აფორიაქებული მდინარის სიგიჟე დაუნდობელი კივილით აზავებს ერთიმეორეზე მიმდგარ მთებს. ვიწრო ხეობა, ზოგან საშიშრად გადმოკიდებული მაგარი კლდე. აქა-იქ გადმოვარდნილი ლოდები გაფრთხილებთ...

პატარა ბოგირი. წყარო. ხევი, კაკალი. ჩრდილში ვისვენებთ. ვწევარ კაკლის ქვეშ, ჩემს გარშემო სამი-ოთხი აჭარელი. მეეტლე.

— თქვენ სად მიბრძანდებით, ეფენდი? — მეკითხება ერთი მათგანი, თუთუნის კოლოფი რომ შემომთავაზა, მას შემდეგ.

— დიდ აჭარაში, — ვუპასუხებ. ჩუმდება ვატყობ, მიზეზი უნდა გაიგოს. შემომყურებს. პაუზა.

— რა ამბავია ბათუმში? — ისევ მეკითხება.

— არაფერი, მშვიდობა. — ვუპასუხე. ეტყობა, ბევრი რამის კითხვა უნდა, მაგრამ რატომღაც ფრთხილობს... ისევ გზაში. ვიწრო ხეობაში სულშეხუთული მდინარის ბრაზიანი კვნესა. შემდეგ — საზარელი კივილი. კლდეები. კიდევ კლდეები. მოსახლეობა არსად ჩანს.

— სად არის სოფლები? — ვეკითხები.

— აი იმ მთებშია, — მიპასუხებს მეეტლე და ხელს იშვერს უზარმაზარი მთებისკენ, — იქა ცხოვრობენ.

ვჩერდებით. ისევ დუქნები. ჯარისკაცები. მთავრობის ხალხი. აქაური მოსახლეები. ეს აჭარისწყალია. ვისვენებთ. ზრდილობიანი სალამი. მოკითხვა. ყველა ქართველია. ქართული ლაპარაკი. გურული პროფილები. ქერა თმა. ნატიფი მოყვანილობა. ნაზი ხაზები. გურული ჩაცმა. „ლებიოთი" გვიმასპინძლდებიან... ქალი და ბავშვი ჯერ არ მოსჩანან. იმალებიან. თუ ხანგამოშვებით სადღაც შორს თეთრი მანდილი იელვებს — მალე თვალს ეფარება სასწრაფოდ. ეს ყანაში მომუშავე ქალია.

ისევ გზაში. ცხენებს დაღლა ეტყობათ. ყველას ეთვლიმება. მეეტლე უშნოდ თავს აკანტურებს. ხანგამოშვებით შეშინებული აჭყეტს თვალებს. ცხენებს შეუყვირებს და ისევ წასთვლემს. ლამაზად მდგარი ამაყი მთები მწვანედ აქოჩრილან. ფხიზლობენ. ხმაურობენ. ფიქრობენ...

ქედა. ამპარტავანი მინარეთი. ხალხი. მამაკაცები. სკოლა. დაკეტილი საავადმყოფო. ათიოდე კახელი ბიჭი — „ტელეფონისტები", „სვიაზი" უჭირავთ სხვადასხვა კუთხესთან, როგორც ამიხსნეს. გადმოვედით...

— ამას იქით ხან ფეხით, ხან „ტაჭკით" უნდა იაროთ, ცხენი არ იშოვება. — მიხსნის ჩემი მეეტლე თანაგრძნობით. ის კი არ იცის, რომ ფეხით სიარული უფრო მირჩევნია ამ ხეობაში.

მესამე დღეს ისევ გზაში. ახლა უკვე ფურგუნით. გზა ნელ-ნელა ზევით იწევს. ჯერ ერთ მთას შემოუხვევს, მერე მეორეს, მერე მესამეს. ხიჭაიუს გავცდით. ხულოს ალმართს შევუდექით. უფრო ზევით ვიწევთ. მთები უფრო ხშირდებიან. ტყეები. დაბურული ტყეები. სიჩუმე. შარაგზა გარბის ზევით, თითქოს ლამობს მალე ავიდეს ხულოში, რომ იქ დაისვენოს.

— სიმინდის ნაკლოვანებაა წელს, — მეუბნება ჩემი თანამგზავრი, — არ ვიცით, რა გვეშველება. ეეხ... ვეწვალებით. რა ვქნათ... — ამოიოხრა და შეუტია ცხენებს. თითქოს ეს საცოდავი პირუტყვი იყოს დამნაშავე.

— აგერ ის თეთრი სახლი ვისია? — შევეკითხე და მივუთითე ლამაზ კორდზე წამომდგარ სახლზე.

— ჯემალ ბეგის. გაქცეულია. ეხლა ეგ არის ხულო-აჭარის სამაზრო პუნქტი. ერთადერთი. მალე მივალთ...

ხულო. ალმასკომის შენობა. მოსამსახურეები, სამჰედლოები, დაკეტილი საავადმყოფო. ქვემოთ პატარა სოფელი — ბოლქვაძეები. გათავდა ჩვენი მგზავრობა ფურგუნით. ახლა მარტო ფეხით მთებში...

გინახავთ თვალმიუწვდომელი კორტოხი, თეთრი ნისლი რომ შემოხვევია ამოუცნობ რამ სუდარად. მაგრამ აქა-იქ გამომზირალი მწვანე კორდები ამჟღავნებენ მის სილამაზეს, როგორც ლამაზი ქალის სახეზე შემოხვეული თეთრი ჩადრიდან გამომზირალი გიშერი თვალები, მარად ციმციმა, ვნების ალით ანთებულნი. ლამაზია აჭარის აქოჩრილი ბუნება, რაღაც საიდუმლოდ ჩაფიქრებული, მაგრამ ამაყი და გულშემზარავი. თამამი აჭარელი შესჭრია მის დასერილ გულ-მკერდს. მაგრად დაუდგამს ფეხი მის ძლიერად მფეთქავ სავსე მაჯაზე. ქართული ჯიუტობით ებრძვის თავხედ ბუნებას".

შემდეგ ავტორი კვლავ წარსულს იხსენებს, კვლავ მოგვითხრობს იმ შავბნელ დროზე, როცა აჭარა მოწყვეტილი იყო დედა-სამშობლოს.

„არა მგონია ქალებს სადმე შინებოდეთ მამაკაცის, როგორც აქ, აჭარაში. ეს შიშიც გასაგებია ისტორიულად. ვინ იცის, ოსმალების ტყვეობას ყველაზე სასტიკად ქალები განიცდიდნენ. ვინ იცის, რამდენი სილამაზე და ცრემლი შეიწირა თათრულმა ჟინიანობამ. აკი იმიტომ დაშინებულან, ქურციკივით გაურბიან მამაკაცებს. თეთრი ჩადრით ლელე-ღელე დაიარებიან. გზას უქცევენ, გაურბიან. ესაა აჭარელი ქალების მოუფიქრებელი, უმიზეზო შიში. მისი თეთრი ჩადრის ნაკეცებში დარხეულა ლამაზი ტანის ფიგურა. თეთრი ჩადრი ვერ მალავს, მაინც ამჟღავნებს მის სილამაზეს. გიშერი თვალის ძალას მაინც გრძნობ ჩადრის იქიდან... სალი კლდეების ნაჟურს, აჭარისწყალს, თითქოს რაღაც ახალი მოაქვს ამ დადუმებულ ხეობებში".

როგორც მკითხველი შენიშნავდა, ავტორმა ორჯერ ახსენა „დაკეტილი საავადმყოფო" და აი, ექიმი კოტეტიშვილი მიდის ამ საავადმყოფოების გასახსნელად; ესეც ერთ-ერთი პირველი ნიშანია ახალი ეპოქის დაწყებისა. საბჭოთა მთავრობამ, რევოლუციის პირველი დღეებიდანვე დაიწყო ზრუნვა ხალხის ჯანმრთელობის დასაცავად; აჭარის ასსრ სახელმწიფო ცენტრალურ არქივში ინახება აჭარის ჯანმრთელობის სახალხო კომისრის ბრძანება ექიმ ლადო კოტეტიშვილის ხულოს რაიონში საექიმო პუნქტის გამგედ დანიშვნის თაობაზე.

დღეს აჭარა აყვავებული, გაძლიერებული და დამშვენებულია; სამუდამოდ ჩაჰბარდა ისტორიას ძველი სიდუხჭირე, ძველი ტკივილები. სოციალიზმმა აქ დაამკვიდრა ახალი ყოფა, კულტურა შეიჭრა თვით მიუვალ, მაღალმთიან სოფლებში და იმათ შორის, ვინც იდგა ამ ახლის მშენებელთა პირველ რიგებში, იყო ლადო კოტეტიშვილიც, სახელოვანი ქართველი მკვლევარისა და ლიტერატურის ისტორიკოსის — ვახტანგ კოტეტიშვილის ძმა. თავის მხრივ ლადომ დიდი ამაგი დასდო ჩვენს მეცნიერებას — გამოსცა ძველი ქართული სამედიცინო წიგნები.

როგორც ვთქვით, ლადო კოტეტიშვილმა თავისი კალამი სცადა მხატვრული მწერლობის დარგშიც; ამ ნარკვევის გარდა, მას დაწერილი აქვს მოთხრობები და პიესები, რომლებიც ქართველი ხალხის ცხოვრების ცალკეულ ეპიზოდებს გვიხატავენ.

**პავლე ფირფილაშვილი**

* ცნობა მოგვაწოდა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა რ. სურმანიძემ, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ.

## შალვა ამისულაშვილი

### უთხოვარი

პანკისის ხეობაში ხე იზრდებაო,
„რკინის ხე“ შეარქვა, შეიძლებაო,
ისე, „უთხოვარი“ რქმევია სახელად,
ასე მონათლაო იგი კახელმა...
რკინის ხეა თუ უთხოვარი,
მართლაც რომ რკინაა უტყუარი;
აკი სასაფლაოს ჯვრებსა და დოგებს
სულ მისგან
ჩარხავდნენ, სჭიროდათ ოდეს...
დოგებს არ ტოვებდნენ უეპიტაფიოდ, —
ზოგიერთს ჯერ კიდევ ატყვია მკაფიოდ.
მაგრამ დავიწყების ხასხასა ხავსი კი
ტვიფრებში უტიფრობს სიამით აღვსილი;
იცის, რომ
იმ ორში შეუტევს რომელსაც,
მარადისობაში აჯობებს ოდესღაც...
პანკისის ხეობაში ხე იზრდებაო,
„რკინის ხე“ შეარქვა, შეიძლებაო.
ისე, „უთხოვარი“ რქმევია სახელად,
ასე მონათლაო იგი კახელმა.
და მართლაც
რა ჰქონდა, რა ჰქონდა სათხოვარი,
იდგა რაინდულად ბექთარნათქორალი...
ის ახლაც რაინდულად დგას გაუღუნარი,
მტერს მტრულად
დაუხვდეს, — კვლავ შესწევს უნარი...
რტოზე რომ კვირტები ეშლება ფიქრებად,
ვინ იცის, იმაზე ოცნებობს იქნება,
რომ აღარ იჯავროს ჯვრებზე და დოგებზე,
და გემის ანძებად დაიძრას ოდესმე...

### პირველი სუსხი

ეზოში თუთის ხეები დგანან.
ღამეა. ირგვლივ დუმილი სუფევს, —
და ცაში მთვარის ფინური დანა
უფატრავს ღრუბელს
        დაბამბულ უბეს...
სუფევს დუმილი, მაგრამ ეზოში
რა უცნაური ისმის ტკაცუნი;
ხეებს ჯერ კიდევ ყვითლად შემოსილთ
უჩანთ შტოები ცისგან დაცული...
და როს ფოთოლი დამეცა მკერდზე,
ერთი კი არა, მრავალთმრავალი,
ფათალოსავით ავეკარ კედელს, —
და დრო შევიცან გარდამავალი.
ორიოდ წამში
        შტოებს თუ რტოებს
არ შერჩენიათ თითო ფოთოლიც;
შტონი სხივებმა დაიმარტოვეს, —
და მგავდა ეზო ყვითლად მოთოვილს.
ვით უფარაჯო
        ჯარისკაცები,
კედელს მიეყრდნენ ჩრდილებიც ხეთა;
ყოფილა მართლაც ზარის დამცემი
პირველი სუსხი მოსული კენტად...

### ეგაა მისი სიმღერა

ყვავი გასჩხავის ყვანჩალა,
ყორანი ბოლმით იმღვრევა;
— ყორანო, ძმას ნუ დასჩაგრავ,
ეგაა მისი სიმღერა!..

ორბი გაჰყავის, გახწივის,
არწივი მისკენ მიეელავს;
— არწივო, ორბს ნუ გასწირავ,
ეგაა მისი სიმღერა!..

მთა-მთა მიმინო გაჰკივის,
ქორი ღონდება ღიღლველა;
— ქორო, კივილი რად გიკვირს,
ეგაა მისი სიმღერა!..

ბულბული სტვენად ქცეულა,
გუგული სმენით ილლება;
— რჩეულს ნუ ჩასთვლი წყეულად,
ეგაა მისი სიმღერა!..

ტოროლა ხმას აწკრიალებს,
მწყერი გოგმანით მიღელავს;
— მწყერო, უწყინრად იარე,
ეგაა მისი სიმღერა!..

...მაღლა დიდი მზე იცინის,
დაბლა ცვარ-ნამი ციმციმებს;
მიწა ჰიხვინებს კვიცივით,
არც იმჩნევს ჟამთა სიმძიმეს!..

* წიგნიდან „ახდილი ზედაშე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მწერალი და თანამედროვეობა“

თავის ახალი წიგნში „მწერალი და თანამედროვეობა“ ვასო ბაიაძეს შეტანილი აქვს წერილი „ფიქრები კრიტიკაზე“, რომელშიაც ავტორი წერს:

„კრიტიკოსი იგივე მხატვარი და ხელოვანია, ოღონდ მას უაღრესად განვითარებული აქვს ანალიტიკური უნარი. „აქ სხვა უნარია საჭირო, სხვა გამჭრიახობა, სხვა ძალღონე. შეიძლება კაცს აუარებელი ცოდნა და სწავლა ჰქონდეს და აქ ერთი ფეხიც ვერ წადგას, თუ ის სხვა უნარიც არა ჰშველის. ის „სხვა უნარი“ იგია, რასაც თვითმსჯელობას, თავისით მოქმედებას, თავისით სვლას ეძახიან... აქ ყველაფერი საკუთარის ჭკუით უნდა ჰზიდოთ და ყველაფერს საკუთარის გონების შუქით მიანათოთ. ფეხს ვერ გასძრავთ, თუ საკუთარის ტვინის ძაფები არ აამოქმედეთ, თუ საკუთარი გრძნობა და ჭკუა არ წაიმძღვარეთ, თუ საკუთარი მსჯელობა არ იქონიეთ“ (ილია ჭავჭავაძე). კრიტიკოსის მსჯელობის ორიგინალობა თითქოს ეჯიბრება უებრო სტილს, გამოთქმის ჭეშმარიტ ხელოვნებას. ყველა თავისთავად კრიტიკოსს საკუთარი ხელწერა, ლიტერატურული აზროვნების და მეტყველების ინდივიდუალური მანერა აქვს. მხოლოდ ასეთ მოაზროვნე მხატვრებს აქვთ უფლება თანამოკალმის შემოქმედების სამყაროში ჩაიხედონ! თორემ რა მნიშვნელობა აქვს ხელოვნების ნაწარმოების შინაარსის მშრალად გადმოცემას, მის მოყოლას, რაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ აღკვეთილა. ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩიქორთული პროზაა“.

ავტორი აქ, იმოწმებს რა დიდი ილიას ავტორიტეტს, კარგად განმარტავს თუ როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი კრიტიკა. და როცა ადამიანი მთლიანად გადაიკითხავს ვ. ბაიაძის ამ წიგნს, ის დარწმუნდება, რომ თვითონ ავტორი ამ კრებულისა დღევანდელ ქართულ კრიტიკულ აზროვნებაში ეკუთვნის იმ ადამიანთა რიცხვს, ვისაც აქვს საკუთარი ხელწერა, ლიტერატურული აზროვნებისა და მეტყველების ინდივიდუალური მანერა. აი ამიტომაც არის, რომ ვ. ბაიაძის წიგნი ღრმა ინტერესით იკითხება. ამ ინტერესს ის იწვევს, რომ მწერალი, რომლის პორტრეტს კრიტიკოსი ხატავს, აქ ცოცხლად დგება ჩვენს თვალწინ. ეს ითქმის პირველსავე წერილზე, რომელიც გიორგი ლეონიძეს ეხება; აი პირველივე სტრიქონები ამ წერილიდან:

„საქართველოს თავი ელამაზებოდა გიორგი ლეონიძით. მასში თითქოს განგებისაგან ასე ბედნიერად იყო თავმოყრილი ჩვენი ჯიშის ყველა კეთილი ზნე და თვისება. მისი ბრგე, ახოვანი ფიგურა, მგრგვინავი ხმა რაღაც გოლიათურის შეგრძნებას ბადებდა პირველად მნახველშიც, და ხომ ასეთივე იყო მისი ჯავარიანი სიტყვა, მისი ნამღერი, რომელიც ყველაზე ნაკლებ მგრძნობიარეთაც გულის სიმებს შეურხევდა, სიამის ჟრუანტელს მოჰგვრიდა ხოლმე“.

პორტრეტი დაწყებულია მშვენივრად; ავტორს ეგებ ისიც შველის, რომ ძალიან ახლოს იყო დიდ პოეტთან, მისი უმცროსი მეგობარი იყო და თავისი როლი აქ უშუალო შთაბეჭდილებებმაც შეასრულეს; ყოველივე ამას თან ახლავს განზოგადებისა და ანალიზის უნარი, რომელიც ზუსტად გამოარჩევს ლეონიძის პოეზიის თავისებურებას, იმას, რომ ლეონიძის ლექსში სამყარო აღქმულია იმ ვითარებაში, როცა ბუნებაც და მოვლენებიც ბორგავენ, მთელი სისავსით ზეიმობენ; კარგად გამოარჩევს კრიტიკოსი პოეზიის და ამ შემთხვევაში ლეონიძის სიტყვის შინაგან ძალას, როცა პოეტს მკითხველის გული ტყვეობაში ჰყავს და „სხვა გზა არა გვრჩება, გარდა იმისა, რომ ლეონიძისებურად შევიგრძნოთ სინამდვილე“.

ვ. ბაიაძე შემდგომი ანალიზის გზით, კარგად განმარტავს თუ რა შესძინა, რა მიუმატა ლეონიძემ ქართულ პოეზიას. განსაკუთრებით საინტერესოა ავტორის მსჯელობა ლეონიძის პოეზიის ეროვნულ კოლორიტზე, მის ქართულ ფესვებზე.

მომდევნო წერილი „ქართული სიტყვის მეჩუქურთმე“ ეხება იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებას. აქაც კრიტიკოსი სწორად მოხაზავს საბჭოთა ეპოქის ამ გულწრფელი მომღერლის პორტრეტს. კიდევ ერთი კარგი თვისება კრიტიკოსისა ის არის, რომ იგი ზუსტად შეარჩევს ხოლმე მომენტს, როცა მხატვრული ნაწარმოების განხილვის დროს საჭირო ხდება თვით შემოქმედის ბიოგრაფიაზე გადასვლა. თქვენ ხედავთ, რომ ეს აუცილებელი იყო, უამისოდ სურათი ნაკლოვანი და არასრული იქნებოდა. აქ პოეტის ლექსი და მისივე ცხოვრება ერთი-მეორეს ავსებენ და უფრო თვალსაჩინოს და კოლორიტულს ხდიან სურათს. ეს ითქმის კერძოდ გრიშაშვილისადმი მიძღვნილ წერილზე.

იხილავს გ. ლეონიძისა თუ ი. გრიშაშვილის, პ. იაშვილისა თუ ირ. აბაშიძის, გ. შატბერაშვილისა თუ ი. ნონეშვილის, ო. ჭელიძისა თუ შ. ნიშნიანიძის ნაწარმოებებს, კრიტიკოსი მუდამ უსვამს ხაზს ჩვენი საბჭოთა ლიტერატურის მაღალიდეურობასა და გულმხურვალე პატრიოტიზმს, პოეტისა და ხალხის, პოეტისა და საბჭოთა სამშობლოს განუყრელი ერთიანობის თემას. და ეს ხომ ჩვენი ლიტერატურის წინსვლისა და ამაღლობის საფუძველთა საფუძველია.

ვ. ბაიაძის წიგნი დაწერილია კარგი, გამართული და ძარღვიანი ქართული ენით.

**თინა ჩიგოგიძე**

* გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1970 წ. რედაქტორი ნ. ალანია.



ლევან გოთუა.


ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირაკლი აბაშიძე.

# ქეთევან მაღალაშვილი

სერგო წულაძე.



აკაკი ბელიაშვილი.







ანსამბლის ხელმძღვანელები, სსრ კავშირის სახალხო არტისტები — ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვასო გოძიაშვილი მიესალმება ანსამბლის ხელმძღვანელებს.



ცეკვავს ნინო რამიშვილი.

საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის 25 წლისთავი. 31 მაისი. საზეიმო კონცერტი ფილარმონიის დარბაზის სცენაზე.

ფოტო ო. თურქიასი და მ. დათიკაშვილისა (საქდესი).


ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხაილ ზიჩის ახლადაღმოჩენილი სურათი.

უნდა იყოს ახლადაღმოჩენილი სურათი
მიხაი ზიჩი[illegible] ზიჩის მიერ
დახატული ახლადაღმოჩენილი სურათი.

# მიხაი ზიჩის ერთი სურათის გამო

1962 წლის ოქტომბერში მოსკოვში ვიყავი... არბატზე, ვახტანგოვის სახელობის თეატრის მოპირდაპირე მხარეს, საკომისიო მაღაზიაში უამრავი მხატვრული სურათების გამოფენა შევნიშნე. დამაინტერესა, შევედი. იყიდებოდა მრავალი მხატვრის ნამუშევარი, ორიგინალები როგორც დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან, ასევე თვით რუსულიც. მაგალითად, იყიდებოდა აივაზოვსკისა და მაკოვსკის ორიგინალები. სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა... უცებ ერთ სურათს მოვკარი თვალი. ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი სამი მამაკაცი ეხატა. თავზე მათ იმერული ფაფანაკები ეხურათ. აშკარად, ქართველები იყვნენ. ასეც აღმოჩნდა — ახლოს რომ მივედი, წარწერა წავიკითხე: „ზიჩი. მეგრელები. ფასი 120 მანეთი". სურათზე იმდენად ტიპიური ქართული სახეები ეხატა, რომ რაც უფრო ვაკვირდებოდი, სულ უფრო ნაცნობ სახეებად მეჩვენებოდნენ. ბუნებრივია, სურათის შეძენის სურვილიც აღმეძრა...

სასტუმროში სურათი ჩარჩოდან ამოვიღე და უფრო გულდასმით დავათვალიერე. 50× 60 სმ ზომის მუყაოზე აკვარელით ნახატი იყო. მარჯვნივ, ქვედა კუთხეში ავტოგრაფი Zichy და თარიღი, რომელიც იკითხება უფრო როგორც 1856, ვიდრე 1881—1882 წლები, ე. ი. ის წლები, რომლებიც ცნობილია საქართველოში ზიჩის ყოფნის დროდ. აი უკვე საკითხიც, რომლის გარკვევა უმნიშვნელო როდია.

მეორე კითხვა, რომელიც სურათის მნახველს იმთავითვე ებადება, ცხადია, გამოსახული პერსონაჟების ვინაობას ეხება. ერთ მათგანს, როგორც ჩანს, მთავარ პერსონაჟს, მკერდზე უმაღლესი სამხედრო ჯილდო — გიორგის ჯვარი აქვს. ალბათ, 1853-1856 წლების ყირიმის ომის მონაწილეა... თუმცა, სავსებით შესაძლებელია, რომ სურათი საერთოდ ტიპაჟის ასახვის სურვილით იყოს შექმნილი, ვიდრე კონკრეტული პიროვნებების პორტრეტის დახატვის აზრით. ყოველ შემთხვევაში, ამის გარკვევაც ინტერესმოკლებული არ არის.

და, ბოლოს, ბუნებრივია, ის კითხვაც დამებადა, თუ საიდან შეიძლება გაჩენილიყო მოსკოვში ზიჩის ეს სურათი. ამის გარკვევა, ცხადია, პირველ რიგში, მოითხოვდა იმის გაგებას, თუ ვინ ჩააბარა სურათი საკომისიო მაღაზიას. მე ეს მაშინვე ვიკითხე მაღაზიაში, მაგრამ ზუსტი პასუხი ვერ მივიღე. მგონი, დუროვების ოჯახიდან არისო, მიპასუხა მაღაზიის ერთ-ერთმა მუშაკმა. გამგეს მიმართეთო, და ის ზუსტად გაცნობებთო. მაგრამ გამგე ადგილზე არ აღმოჩნდა. ვერც მეორე დღეს ვნახე. რამდენიმე დღის შემდეგ მოსკოვიდან წამოსვლა მომიხდა და ეს საკითხიც ღიად დარჩა... დრო გადიოდა და ახალი ვერაფერი ვერ შევიტყვე. საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ თვით სურათი გამომექვეყნებინა და ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი გამეხადა. მთავარი ხომ მაინც ეს არის. მიუხედავად იმისა, თუ როგორ გაირკვევა ყველა ზემოხსენებული საკითხი, ძირითადი ფაქტი ხომ მაინც ნათელია! ზიჩის ეს სურათი ხომ კიდევ ერთი მკაფიო მაჩვენებელია იმისა, თუ როგორ გულდასმით ჰქონდა შესწავლილი გამოჩენილ უნგრელ მხატვარს ქართული ტიპაჟი.

რაც შეეხება სურათის მხატვრულ ღირსებას, სიტყვა ჩვენს ხელოვნებათმცოდნეებს ეკუთვნით. ხოლო თუ ზემოაღნიშნული კითხვების გარკვევას ვინმე შეეცდება, ფრიად მოხარული ვიქნები.

გ. პაიჭაძე

## თემურ ჩალაბაშვილი

### ნ ა ტ ვ რ ა

ბოეზიის ცეცხლით დაწვა
თუ ოდესმე მეც მხვდა წილად,
თუ მიმილო დიდმა შოთამ,
მეც ერთ თავის შვილიშვილად,
თუ ილიამ ახალბედას
დიდი გზები დამილოცა,
თუ აკაკიმ ჩანგი მიქო
და ვაჟამ არ გაიოცა,
მაშინ მჭექარ ამ ჩემს სიტყვას
ქარიშხალიც ვერ გალუნავს,
მეც ხომ ქართლის დედამ მზარდა
და ქართული ქუდი მხურავს.

### გ უ ლ ი

როგორც წმინდა და როგორც ანკარა,
გული ყველაზე უფრო დიდია,
გულმა გულები შემომატარა,
ის სიცოცხლის და ტრფობის ხიდია.
გული წრფელი და გული პატარა,
მთელ ქვეყანაზე უფრო დიდია.



# მეომარი და მწერალი

ამ ორიოდე წლის წინ მე და დავით კვიცარიძე მწერალთა კავშირის ბაღში ვისხედით და ვსაუბრობდით. ამ მთისა ვთქვით, იმ მთისა და ბოლოს დავითმა თავისი საბრძოლო თავგადასავალი გაიხსენა. ამ დროისათვის მას უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა ავტობიოგრაფიული მოთხრობა „ორდიშევის ტყეში". მე იმ ნაწარმოებს კარგად ვიცნობდი და რატომღაც მეგონა, რომ დავითის მთელი საბრძოლო ცხოვრება მხოლოდ იმით შემოიფარგლებოდა, რაც ამ წიგნში ჰქონდა აღებული. თურმე სათქმელს რა გამოულევდა! იმ დღეს ისეთი ამბები გადმომიშალა, თვალწინ დამიდგა ბრძოლაში ფიცხელი, წარმოსადეგი, ოცდაორი-ოცდასამი წლის ვაჟკაცი.

მისმა ნაამბობმა არ მომასვენა და ერთ-ერთ ჩემს მოთხრობაში „ვაჟკაცსა გული რკინისა" მთავარ გმირადაც დავხატე, მე მიყვარს ეს გმირი, ლადო ნავროზაშვილის სახელით რომ გავაცანი მკითხველს. და აი, ახლა ვხსნი საიდუმლოს, რომ მისი პროტოტიპი დავით კვიცარიძეა.

ოცი წლის იყო არმიაში რომ გაიწვიეს, ოცდაორი წლისა პარტიზანულ რაზმშია. მალე იგი ერთ-ერთი პარტიზანული რაზმის მეთაურიც ხდება. საქვეყნოდ გაითქვეს სახელი ბელორუსიის პარტიზანებმა თავიანთი თავდაუზოგავი ბრძოლით მტრის წინააღმდეგ. მრავალი რამ დაიწერა ვ. ბოიკოსა და კ. ზასლონოვის პარტიზანულ შენაერთებზე და თვით ამ მამაც მეთაურებზე. სწორედ მათთან, თავის ვაჟკაცური შემართებით მოქმედებდა დავით კვიცარიძე. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის მას არაერთი ჯილდო მიუღია.

დღეს ხელთა გვაქვს მისი ვრცელი რომანი „მშვიდობით, უსიერო ტყეებო". დავითი მაინც იქ, იმ უსიერ ტყეებს უტრიალებს, სადაც მან სიჭაბუკის ყველაზე ძვირფასი წლები მტერთან ბრძოლას, სამშობლოს ხსნას შესწირა. რომანში ვრცლად და დიდი სიმართლითაა აღწერილი ყველაფერი ის, რაც თავს გადახდათ ჩვენს მამაც ადამიანებს.

ახლახან დავით კვიცარიძეს დაბადების ორმოცდაათი წელი შეუსრულდა.

პირველი წიგნი მან 1957 წელს გამოსცა. ეს იყო ზემოთ დასახელებული მოთხრობა „ორდიშევის ტყეში". ამას მოჰყვა ლექსების კრებული „გზა", პიესები — „რობერტის სიმღერა", „მაისის ღამე", „სათაფლია", „ცეცხლთან ჰიდილი", მოთხრობები — „სახელის მოზიარენი", „შეხვედრა", „სტადიონის ხეივანში"... და ბოლოს რომანი „მშვიდობით, უსიერო ტყეებო".

დავით კვიცარიძის პიესები სხვადასხვა დროს წარმატებით იდგმებოდა ქუთაისის სახელმწიფო თეატრის სცენაზე.

დავით კვიცარიძის, როგორც მწერლის, სიმწიფის ხანა ახლა დადგა. მისთვის არც ერთ წელს უქმად არ ჩაუვლია, ლიტერატურული მოღვაწეობა მან ჯერ კიდევ პარტიზანად ყოფნისას დაიწყო. წერდა ლექსებს და უკვე იმ პირველ ნაწარმოებებში იგრძნობოდა გულწრფელობა და სიმართლე, რაც მწერლისათვის ისევე საჭიროა, როგორც ნიჭი და ბუნებით ბოძებული მადლი ხატოვანი სიტყვის დაუფლებისა.

დავით კვიცარიძე თანდათან ოსტატდებოდა. „ორდიშევის ტყეში" და პიესებში გამოამჟღავნა ჭეშმარიტი მწერლის ტალანტი.

ქუთაისი ოდითგანვე ქართული კულტურის ერთ-ერთ ძირითად კერად ითვლებოდა და ითვლება. ეს ყველასათვის საყვარელი ქალაქი მრავალი სახელოვანი ადამიანის აკვანი გახდა. ქუთათურ პოეტებს, მწერლებს, მომღერლებს საქვეყნოდ გაუთქვამთ სახელი. ახლაც მრავალი ნიჭიერი მწერალი და შემოქმედი ცხოვრობს და მოღვაწეობს აქ. ქუთაისში მუშაობს საქართველოს მწერალთა კავშირის საკმაოდ დიდი განყოფილება, რომელსაც სათავეში უდგას დავით კვიცარიძე და უნარიანად ხელმძღვანელობს მას.

...დაგინახავს და სახე ღიმილით გაებადრება. თავის დიდრონ ხელებს შემოგხვევს და გადაგკოცნის.

დღეს ჩვენ ვეხვევით მას, ვკოცნით და გულითადად ვეუბნებით:

— მრავალ წელს იცოცხლე, ჩვენო ძვირფასო ძმაო და მეგობარო! ეს განვლილი ორმოცდაათი წელი შენთვის მხოლოდ ერთი საფეხური ყოფილიყოს იმ ბედნიერი ცხოვრებისა, რომელიც წინ გელის.

იცოცხლე და იბედნიერე, ჩვენო სასახელო ვაჟკაცო!

თენგიზ გოგოლაძე

# ქ უ რ დ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა



მ ო თ ხ რ ო ბ ა

მხატვარი
დ. ერისთავი

ვასკა ტიაპკინი ქურდი იყო პროფესიით. ჯიბის ქურდი. ტრამვაიში საქმიანობდა ძირითადად.

ნუ ინატრებ მის ბედს, მკითხველო, — კაპიკია ამ ხელობის ფასი. ჩაძვრები ერთ ჯიბეში და მოშლილი სანთია ამოგყვება, ჩაძვრები მეორეში — იქაც ცხვირსახოცს, რამდენიმე ღერ პაპიროსს და სხვა ამნაირ მაიმუნობას, ანდა მთლად უარესი — ელექტროენერგიის დანახარჯის ქვითარს თუ იპოვი.

თავის მოტყუებაა ეს და არა პროფესია.

ძვირფასი ნივთების, საფულესა ან საათის შოვნის იმედიც კი არ უნდა ჩაიდო გულში, ვერ მოგართვეს.

კაცმა არ იცის სად ინახავენ მგზავრები ასეთ განძეულობას. მთლად გაოხრდა ხალხი. თავად უნდა ფხიზლობდე, რამე არ აგწაპნონ. აგწაპნიან კიდეც, ისე, ვერც გაიგებ. ერთი წუთით მიაჩერდი, ვთქვათ, კონდუქტორის ჩანთას და მორჩა... ჯიბე ცარიელია უკვე, ამის რჯულიც არ იყოს!

რაც შეეხება ძვირფასეულობას, ისე გათახსირდნენ მგზავრები, რომ გულზე ატარებენ, მუცელზე იკრავენ. ადამიანის სხეულის ეს ნაწილები ნაზია, შეხიცინებას ვერ იტანს. თითის მიკარება და ყვირილიც ზედაა — არიქა, გაგვძარცვესო. თავი მოგძულდება ამის შემხედვარეს.

მართლაც რომ კაპიკია ამ ხელობის ფასი.

ერთხელ საკმაოდ პატივცემულმა გვამმა, პროფესიით მძარცველმა, მთელი სულითა და გულით ურჩია ვასკა ტიაპკინს გამოეცვალა პროფესია, უფრო სწორად, სპეციალობა.

— ახლა საზაფხულო სეზონია. გაემგზავრე, ძმობილო, სააგარაკო ადგილებში, შეათვალიერე რომელიმე კოტეჯი და მერე გაფცქვენი. სხვათაშორის, ეცადე ბაერზე იყო. თქვენი ხელობის ხალხს ჭლექი სულ იოლად ემართება.

„ნაღდია — გაიფიქრა ვასკამ, — სპილოსავით ვმუშაობ და მადლობასაც არავინ გალირსებს. მოდი, მართლა ვეწვევი სააგარაკო მიდამოებს, კარგი ჰაერია რაც არ უნდა იყოს და სამუშაოც სულ სხვაგვარია. თანაც ისე ვარ გადაღლილი, ჭლექიც რომ შემეყაროს, გასაკვირი არ იქნება“.

ასეც მოიქცა. პარგოლოვოში გაემგზავრა. გაიარ-გამოიარა შარაგზაზე. გაიარ-გამოიარა ქუჩებშიც. თქმა არ უნდოდა, ჰაერი მართლაც ნამდვილი საკურორტო, ბაჯაღლო ოქროსავით იყო. მაგრამ ამ ჰაერმა მგლის მადა გაუღვიძა. ეგონა კუჭი გამეხვრიტაო. საპარავი კი არ ჩანდა.

იწყო ვასკამ აგარაკის შეთვალიერება. ერთ კოხტა სახლს დაადგა თვალი, მესერზე რომ განცხადება ეკრა: „ექიმი კორიუშკინი, ქალის სნეულებანი“.

„თუ ექიმია — გაიფიქრა ვასკამ, — მით უკეთესი, — მედიცინის მსახურნი, როგორც წესი, ვერცხლეულს მუდამ ბუფეტში ინახავენ.“

ადგა და იმ ბუჩქებში ჩაიმალა, ექიმის ბაღის ყვავილნარის უკან რომ ამოშვერილიყო და დაიწყო თვალთვალი, თუ რა ხდებოდა ირგვლივ. აი, რა იხილა ვასკამ. ძიძას სასეირნოდ გამოეყვანა ხუთი წლის ჩაფუნთულებული ბიჭუნა. დასეირნობს ძიძა მზის გულზე, ბიჭი კი თამაშობს თავისთვის. ქვეყნის სათამაშოები მოუთრევია — თოჯინები, ბორბლები, ორთქლმავლები...

ერთი ყველაზე მიმზიდველი სათამაშო ჰქონდა — ციბრუტი. მომართავდა თუ არა, ციბრუტი ბზუილს იწყებდა და კარუსელივით ტრიალებდა.

ვასკა იმდენად დაინტერესდა ამ სათამაშოთი, რომ ბუჩქიდან კინაღამ გამოხტა, ძლივსძლივობით შეიკავა თავი.

„ბოლომდე ვერ მართავენ ეს ოხერტიალები, — ძარღვები ეშლებოდა ვასკას, — აი, ზამბარა რომ ბოლომდე გაჭიმონ, მაშინ იქნებოდა სანახაობა“.

ძიძა ნებივრობდა მზის გულზე. ეზარებოდა ალბათ სათამაშოს ტარის ტრიალი.

— ბოლომდე, ბოლომდე მომართე, შე რეგვენო, — ჩურჩულებს თავისთვის ვასკა, — გადაგიშენდა თავი.

მალე ძიძამ ბიჭუნა წაიყვანა და ვასკაც გამოძვრა სამალიდან. გაიარა ეზოში. აათვალიერ-ჩაათვალიერა იქაურობა, საჭირო იყო ყოველგვარი წვრილმანის ცოდნა, სად რა იდო და როგორ. სამზარეულოშიც შევიდა. სამსახური შესთავაზა, უარით გამოაპანღურეს, აქედან მოუსვი, შენ სიფათზე გეტყობა, მუშაობა კი არა, რაიმეს დასაცინცლად ხარ მოსულიო.

მართლებიც გამოდგნენ, ამის რჯულიც ამოვარდეს, ვასკამ ნაჯახი აწაპნა. ხელს გამოაყოლა უბრალოდ.

მეორე დღეს ვასკა ისევ შეძვრა ბუჩქებში, გაწვა და დაიწყო ფიქრი თუ როგორ მოება საქმისათვის თავი.

— სასადილო ოთახში ფანჯრიდან უნდა გადავძვრე. თუ დღეს მოკეტეს, არაფერია. სავსებით შესაძლოა ხვალ გამორჩეთ. თავზე არ მაწვიმს და რა მიჭირს, ვიქნები აქ.

ყოველ ღამით უტრიალებდა ვასკა სახლს. ფანჯარას სინჯავდა, კვირის თავზე ფანჯარა ღია დახვდა — დაკეტვა დავიწყებოდათ.

ვასკამ ფიჯაკი გადაიძრო, რათა უფრო თავისუფლად ეგრძნო თავი, მოშიებული კუჭი, როგორც იქნა ჩააწყნარა და ფანჯარას მიაშურა.

„მარცხნივ მაგიდა უნდა იყოს, მარჯვნივ ბუფეტი, და ვერცხლეულიც იქ ძევს ალბათ“, — ფიქრობდა ვასკა გუნებაში.

ოთახში გადაფოფხდა. სრული სიბნელე დახვდა. მართალია ნათელი ღამე იდგა, მაგრამ სხვის ბინაში იოლად ვერ გაიგებ ასავალ-დასავალს.

და დაიბნა ვასკა, მოაფათურა ხელი, — ბუფეტი უნდა იყოსო იფიქრა და უჯრა გამოსწია.

ნაყარ-ნუყარით იყო სავსე უჯრა, ნაირნაირი საბავშვო სათამაშოებით გამოტენილი.

ყურები ჩამოყარა ვასკამ. მიხვდა, საბავშვო ოთახში იმყოფებოდა. იქითა ოთახში დააპირა გასვლა და შეშინდა. თუ ექიმის კაბინეტში მოვხვდი, ხელად ლანცეტს მფუშავენ შიგანში. ასეა დაჩვეული და მაშინ მიტირეთო, — გაიფიქრა.

„მოდი, ამის რჯულიც ამოვარდეს, ამ სათამაშოებს მოვაგროვებ. ესეც ხომ ფული ღირს, ჩვენში რომ დარჩეს“, — გაივლო მან გუნებაში.

შეუდგა ვასკა სათამაშოების უჯრიდან გამოლაგებას. ხელში ციბრუტი მოხვდა. სწორედ ის ციბრუტი, ამას წინ მის ცხვირთან რომ აბზრიალებდნენ პარკში.

გაეღიმა ვასკას.

— ეს ხომ ჩემი ნაცნობი ციბრუტია. ღმერთმანი აუცილებლად დავაბზრიალებ. ოღონდ მერე, ახლა უნდა ვიჩქარო, ამხანაგებო!

ფოთიალში რაღაც დაუვარდ ვასკას ძირს და გაულარუნდა.

თავი აიღო და რას ხედავ... საწოლზე ბიჭუნა შეინძრა, წამოდგა და გამოემართა მისკენ ფეხშიშველა.

შეცბა თავდაპირველად კასკა.

— აბა საწოლში ჩქარა, ... მამაძაღლო! — შიაძახა.

— ხელი გაუშვი სათამაშოებს, — აუვ...და ბიჭი.

— უმ, შენი, — გაცეცხლდა ვასკა, — ასე ხომ გამსკვანჩეს კიდეც. — დაიძინე, შე მაიმუნო, თორემ მიგასრისავ კატის კნუტივით.

— ხელი უშვი ჩემს სათამაშოებს, — აღრიალდა ბიჭი.

— იცი, რა გითხრა, — მიუბრუნდა ვასკა, თან სათამაშოებს ტომარაში ტენიდა, — ესენი შენი იყო, მართალია, ახლა კი ჩემია, ეძიე წყალში თევზი.

— რაო?

— რაო და ეძიე ახლა წყალში თევზი.

გადაისროლა ვასკამ ტომარი ფანჯარაში და თვითონაც მიჰყვა. უხერხულად გადახტა და მკერდი იტკინა.

„ეჰე, — გაიფიქრა, — ასე ხომ ჭლექიც შეიძლება დავიმართო“.

ჩამოჯდა ყვავილნარზე, მკერდი მოისრისა, შეისვენა.

## ბაგუ მებურიშვილი

### გრძნეული სმენით

არქეოლოგ ოთარ ლორთქიფანიძეს — ვანის გათხრების ერთ-ერთ ხელმძღვანელს.

დასტაქარივით ვინ დაადო
ყური გორაკზე,
ციხე-ქალაქის გასაღების
ცივი ჩხარუნი
გრძნეული სმენით
ქვესკნელიდან ვინ გაიგონა,
ვინ გამოიხსნა
დედამიწის ცხრაკლიტულიდან
წარსული, —
ოცი საუკუნე დატყვევებული.
ორიათას წელს,
ორიათას გიზგიზა კოცონს
დაუკეცია მთვარისფერი
ფრთები შრეებად,
კოდალასავით უკაკუნებს
წერაქვი მაღლობს;
ამოქათქათდა მზისფერ ქვებად
ლეგენდა — ვანი;
გააქვთ ჩხრიალი
ყელსაბამებს,
ბეჭდებს, მონეტებს...
თიხის სურაზე დახატული
მამალი ყივის...

### იმ სინათლისკენ

იმ სინათლისკენ მსურს გაქროლება,
შენ საითკენაც მიგიხარია,
მაგრამ მოტეხილ გრძნობას გონება
ეუფროსება დიდი ხანია.
ალბათ ერთმანეთს ვეღარც გავუგებთ,
არ ასრულდება დანაპირები...
წლები გაფრინდნენ...
და სიჭაბუკე
წაიღეს, როგორც ნანადირევი.

## ალექსანდრე გაბაშაძე

### ძლიერი წვიმა

შორიდან,
ალბათ ძალზე შორიდან,
ჩემი ნანატრი წვიმაც მოვიდა —
თუ ავდიდდები, ეს ამადიდებს,
თვითონ იტირებს და მეც მატირებს,
თვითონ იმღერებს და მეც მამღერებს,
წამალეკინებს მწვანე ნაპირებს.
დიდხანს თქორავდა,
დიდხანს ჟინჟღლავდა,
მზე პირს იბანდა მორცხვად, წვალებით,
ზოგჯერ ლიახვთან,
ზოგჯერ ჟინვალთან
ნახევარხმებით მოვწანწკარებდი.
და როგორც იქნა, ბოლოს მოვიდა
ცხრა მთას იქიდან,
ცხრა ზღვას იქიდან...
ძალზე .ძლიერი, ძალზე შორიდან
მოვიდა წვიმა ეშხით, რიხითა.
და მოდის წვიმა ლურჯი მთებიდან
და ნიაღვრები თბილი სისხლივით
ბოლოს ჩემს სხეულს უერთდებიან.

* * *

ვაგონის სარკმელი ცისფერი ეკრანია,
ეკრანზე ციმბირულ ზამთარს აჩვენებენ,
აქ არც გრაკალია და არც ზეკარია
და არც კავთისხევის გაჩერება...
თოვლზე მიკინკილებს კურდღლის ნაკვალევი
და ქარი ქალივით ქვითინებს მოთქმით,
როგორც მოხუცები, რუხი საკვამლენი,
გათოშილ ხელებს ითბობენ ორთქლით.
და მატარებელი, მწვანე და თეთრი,
გაყინულ ჰაერში გზნებით მინავარდობს...
აქ ახლა თოვლია ყველაფრის ღმერთი
და ფანტელებია ია და ვარდი...
თოვლით ავსებულა ჩიტის ბუდეები,
არყები არხევენ ვერცხლის საყურეებს,
სალდათყოფილები სახლში ბრუნდებიან
და ვაგონს სიმღერით აყრუებენ,..
გიტარა ტიტინებს არაჩვეულებრივ,
სიმები უზომოდ დამწვრისას ბჟუებიან,
ბიჭები სიმორცხვეს გადაჩვეულები
ლამაზ გამცილებლებს ეარშიყებიან.
...აღარ თავდება გზა თეთრი და ლაჟვარდოვანი,
ლურჯი ეკრანი აღარ ქრება ერთი წამითაც,
მოდის და მოდის - განთიადი, დილა, საღამო
და ყველაფერი მეორდება ისევ თავიდან.

### გულწრფელი თოვლი

დიდი ხნის წინათ,
გახსოვს, როგორ გულწრფელად თოვდა! —
თითქოს ცა მიწას
ნუგეშსა და სიყვარულს სთხოვდა.
ცა იყო ცივი — ითხოვდა სითბოს
და კიდევ რაღაც
ენით უთქმელს ითხოვდა თითქოს.
თოვდა...
ჩვენ ცაში შეუმჩნევლად ავყავდით კიბეს,
ფანტელები რომ ეფრქვეოდა
ვარდის ფურცლებად...
ბედნიერი ხარ?
სად ხარ ახლა? გახსოვარ კიდევ?
სხვა დროსაც თოვდა,
ნეტა, შენთვის ასე გულწრფელად?!

— უნდა გავშპე, სანამ დროა, სადაა ციბრუტი, ამის რჯული გაწყდეს, ნუთუ დამავიწყდა.

ხელით მოსინჯა ტომარა, ციბრუტი ადგილზე დახვდა. ვეღარ მოითმინა ვასკამ. ამოიღო.

— მოდი ერთს მოვმართავო, -- გაიფიქრა.

მომართა ბოლომდე და ხელი შეუშვა. აბუბუნდა ციბრუტი, დაბზრიალდა.

სიცილისაგან კინაღამ გაიგუდა ვასკა. ფეხზე ვეღარ გაჩერდა და მიწაზე წაწვა.

„აი, ახლაა ბოლომდე მომართული, აი, ახლაა სანახავი, ამის რჯულიც ამოვარდეს, ამის“...

ციბრუტს ჯერ კიდევ არ დალეოდა ძალა, რომ აყვირდნენ სახლში.

— ქურდი, დაიჭირეთ, ქურდი, არ გაუშვათ!

წამოხტა ვასკა. გაქცევა მოინდომა, უცბად რაღაც მოხვდა თავში. ვასკა დაეცა მართალია, მაგრამ მაინცდამაინც არ ტკენია და ხელად წამოხტა ფეხზე. მდევარს, როგორც ჩანდა, ხელი არ ჰქონდა კარგად გაწაფული.

„ალბათ ჯოხი თუ მომხვდა, უარეს შემთხვევაში, გაფისული თოკი იქნებოდაო“, გაიფიქრა ვასკამ, თავზე შემოიჭირა ხელები და გაიქცა.

ერთი ვერსი რომ გაირბინა, გაახსენდა: ფიჩაკი დარჩენოდა. კინაღამ იტირა დარდისაგან. თხრილში ჩაჯდა.

„ეჰ, — ფიქრობდა, — უნდა გამოვიცვალო ხელობა, კაპიკის საფასურია ეს საქმე. ჯიბის ქურდობა მეფეა ამასთან, უკანასკნელი ფიჩაკიც კი დავკარგე, წავალ მძარცველი გავხდები, რჯულიც ამოვაგდე ამისიო“..

წამოდგა და ქალაქისაკენ გასწია.

თარგმნა ედიშერ გიორგაძემ.



# ლეგენდები და ილუზიები

## ვატიკანის ერთი საიდუმლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

1223 წელს საქართველოს მეფე რუსუდანი რომის პაპისადმი გაგზავნილ ეპისტოლეში წერდა: მონღოლთა შემოსევისას ჩვენ არავითარი სიფრთხილე არ გამოგვიჩენია, რადგანაც ისინი ქრისტიანები გვეგონა და მხოლოდ შემდგომ დავრწმუნდით, რომ კარგი ქრისტიანები არ იყვნენო.

რა იყო ეს, მოულოდნელი მარცხისათვის საპატიო მიზეზის ძიება თუ მართლაც არ იცოდნენ საქართველოში მონღოლთა ვინაობა და მიზნები? რა თქმა უნდა, მეორე. მაგრამ მარტო ქართველები როდი ყოფილან ამ გაუგებრობის მსხვერპლი. ასევე ეგონათ მეზობელ სომხეთში, ასევე ეგონათ ჯვაროსანთა სირია-პალესტინის სამფლობელოებში, ასევე ეგონათ ევროპაში.

სომეხი ისტორიკოსის კირაკოზ განძაკელის ცნობით, მონღოლებზე გავრცელდა ყალბი ხმები, თითქოს ისინი ქრისტიანული სარწმუნოებისა არიან, მოდიან მაჰმადიანებზე შურის საძიებლად ქრისტიანთა ჩაგვრის გამო და აპირებენ „წმინდა ადგილების“ გამოხსნას ჯვაროსანთა მხარდამხარ. იმასაც ამბობდნენ, რომ მათ აქვთ საველე ეკლესია და სასწაულმოქმედი ჯვარი.

ვინმე ფილიპე, ერთ-ერთი კათოლიკური ორდენის წინამძღვარი პალესტინაში, აუწყებდა რომს, ქრისტიანობა გავრცელებულია მთელს მონღოლურ აღმოსავლეთშიო.

ყველა ამ მითქმა-მოთქმაში ნაწილობრივ სიმართლეც ერია. XII-XIII საუკუნეებში, ცენტრალურ აზიასა, მონღოლეთსა და ჩინეთში მრავალი ქრისტიანი ცხოვრობდა, ნესტორიანთა სექტისა. ისინი იყვნენ ბიზანტიიდან და ირანიდან გადასახლებულთა შთამომავალნი. ქრისტიანობა გაბატონებულ რელიგიას წარმოადგენდა ორ მთავარ მონღოლურ ტომში (ნაიმანები და კერაიტები).

სწორედ ამ ფაქტმა შეასხა ფრთები ლეგენდას პრესვიტერ იოანეზე. როგორ დაიბადა ეს ლეგენდა?

1145 წელს, გამოჩენილი ბავარიელი მემატიანე ოტონ ფრეიზინგელი, იმოწმებდა რა ჯაბალას (ქალაქია ჩრდილოეთ სირიაში) ეპისკოპოსის ჰუგოს ნაამბობს, წერდა, რომ რამდენიმე წლის წინათ, ნესტორიანთა მეფე-პრესვიტერმა (ანუ ხუცესმა) იოანემ შორეული აღმოსავლური ქვეყნიდან გამოილაშქრა მაჰმადიანებზე, დაამარცხა ისინი, შემდეგ დაიძრა დასავლეთისაკენ, რათა დახმარებოდა ჯვაროსანთა იერუსალიმის სამეფოს, მაგრამ ვერ გადალახა მდინარე ტიგროსი და უკან გაბრუნდა.

რომელი ისტორიული მოვლენა დაედო საფუძვლად ამ ცნობას?

1141 წელს, ხატაელებმა ელიუ-დაშის წინამძღოლობით ქალაქ სამარყანდის მახლობლად სასტიკად დაამარცხეს შუააზიელი მაჰმადიანი ხელმწიფე, თურქ-სელჩუკთა სულტანი სანჯარი, რომლის დროშებქვეშ თავმოყრილი იყო მაჰმადიანური სამყაროს საუკეთესო ძალები (დაახლოებით ასი ათასი კაცი), გამოწრთობილნი ჯვაროსნებთან და ბერძნებთან ომებში, აღჭურვილნი იმდროინდელი სამხედრო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. აღმოსავლური წყაროები გვამცნობენ, რომ მაჰმადიან ხალხებს აქამდე არასოდეს ენახათ ასეთი გრანდიოზული და სისხლისმღვრელი ბრძოლა. სანჯარის ლაშქრიდან ოცდაათი ათასი მეომარი დაიღუპა. ტყვედ ჩავარდა მრავალი ამირა და თვით სანჯარის ცოლიც. სანჯარი რიგითი სულტანი არ ყოფილა, უზომო იყო მისი ავტორიტეტი მაჰმადიანურ სამყაროში. სანჯარს უწოდებდნენ უკანასკნელ „დიდ სელჩუკს“, მას ცხრამეტი ძლევამოსილი ომი ჰქონდა გადახდილი და ახლა პირველად იგემა მარცხი, რამაც ხალხს გაუქარწყლა სანჯარის შიში. სამეფო კარის მწერალმა ასეთი სტრიქონები შეთხზა: „ო, მეფეო, ორმოცი წელია შენი ხმალი მტერზე შურისძიებისათვის იყო ამოწვდილი, და თავა თუ უბედურება დაგატყდა, ესეც განგების ნებაა, რამეთუ მხოლოდ ალაჰია ერთადერთი უძლეველი და მარადიული არსება“.

აი, სწორედ ეს ამბავი გახდა წყარო ლეგენდისა პრესვიტერ იოანეზე.

ოთხმა წელიწადმა და გზამ სამარყანდიდან სირიამდე დაამახინჯა სინამდვილე, ელფერი შეუცვალა და აღაფრთოვანა ევროპელები. მათზე შთაბეჭდილების მოსახდენად, ჰუგომ იქნებ გააზვიადა კიდეც სირიაში მოსული ხმები, რათა წაექეზებინა ისინი მეორე ჯვაროსნული ლაშქრობისათვის, რომელიც უკვე ნზადდებოდა და ასეთ ვითარებაში რაოდენ სასურველი იყო ძლიერი მოკავშირე აღმოსავლეთში!

რომელ რასას ეკუთვნოდა ელიუ-დაში, თურქულსა თუ მონღოლურს? აღიარებდა თუ არა იგი ქრისტიანობას? საიდან გაჩნდა ევროპულ წყაროში სახელი „იოანე“? მიუხედავად ბეჯითი კვლევისა და სხვადასხვა მოსაზრებისა, ეს კითხვები უპასუხოდ რჩება. ცხადია, შეუძლებელიც არის ლეგენდის ზუსტი ამოხსნა და ბავარიელი მემატიანის ცნობაში ჩასმული ყოველი სიტყვისათვის რეალური ფაქტების მისადაგება. ალბათ ამიტომაც დაასკვნა ერთმა ცნობილმა მკვლევარმა, ამ ლეგენდის წარმოშობის საკითხი მეტად რთულია და არც ისე მნიშვნელოვანიო.

ლეგენდა პრესვიტერ იოანეზე გამოაცოცხლა მონღოლების გამოჩენამ. ისევ აწრიალდა ქრისტიანული სამყარო. ისევ მიეცათ იმედი შევიწროებულ ჯვაროსნებს. დასავლეთ ევროპაში ათასნაირი ხმები დადიოდა. წერდნენ, რომ მონღოლთა ლაშქრობას სათავეში ედგა „მეფე დავით, იოანე ხუცესად წოდებული“. ზოგიც იოანეს შვილად თვლიდა მეფე დავითს.

ამ მითიურ ვერსიას ასულდგმულებდა მხურვალე იმედები მონღოლთა და კათოლიკური ევროპის მომავალ კავშირზე მაჰმადიანური სამყაროს წინააღმდეგ.

ძნელი სათქმელია, საიდან გაჩნდა ლეგენდაში მეფე დავითი. შესაძლოა ერთი საუკუნის შემდეგ დავით აღმაშენებელმაც ჰპოვა ადგილი ევროპელთა ფანტაზიაში. მაგრამ ამის დამტკიცება არც ისე იოლია. სხვას რომ თავი გავანებოთ, უნგრეთის მეფის წერილში რომის პაპისადმი მოთხრობილია ამ „დავით მეფის“ შეჭრა რუსთა მიწებზე 1223 წელს და რუს-ყივჩაღთა ჯარის ამოჟლეტა (ცხადია, იგულისხმება ცნობილი ბრძოლა მდინარე კალკასთან).

ასე რომ ეს „მეფე დავითი“ ჩინგიზ-ყაენს უფრო წააგავს!

მონღოლთა შემოსევისას, ერთხანს იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ისინი მაჰმადიანებს უფრო ემტერებოდნენ, ვიდრე ქრისტიანებს.

არაბი მემატიანე იბნ ალ-ასირი ხაზს უსვამს, რომ ამ მოკლე ხანში მაჰმადიანურ სამყაროს თავს დაატყდა ორი უბედურება: აღმოსავლეთიდან მონღოლთა შემოსევა და დასავლეთიდან ჯვაროსანთა შეტევა სირია-ეგვიპტეზე. იგი მძულვარე წყევლა-კრულვას უთვლის მონღოლებსაც და ჯვაროსნებსაც და მწარედ მოთქვამს: „ნეტამც სულ არ გავეჩინე დედას, ანდა მანამდე დამპატრონებოდა სიკვდილი, სანამ ვიხილავდი ყოველივე იმას, რაც მოხდა“. იბნ ალ-ასირს მრავალი შემაძრწუნებელი ფაქტი მოაქვს, მაჩვენებელი მონღოლთა ბარბაროსობისა, რომლის მსგავსი არავის სმენია ამქვეყნადო.

იბნ ალ-ასირის მეგობარი, გამოჩენილი სწავლული იაკუთი, ძლივს რომ დაუსხლტა მონღოლებს ხელიდან, აღწერს აყვავებულ ხორასანს და უწოდებს სამოთხის ასლს. შემდეგ მოგვითხრობს, რომ მონღოლთა წყალობით სასახლეები წარიშალნენ პირიდან მიწისა, როგორც ნაწერი სტრიქონი იშლება ქაღალდიდან, იქ დასახლებული ჭოტები ერთმანეთს გასძახიან ღამღამობით, ხოლო დარბაზებში ქარის კვნესა პასუხობს სამუმს. იაკუთის სიტყვით, თვით იბლისიც (ეშმაკი) დაიტირებდა ამ საშინელ კატასტროფას.

მაჰმადიანური სამყარო ევროპისაგან ელოდა შველას!

1236 წელს დაიწყო მონღოლთა ახალი ლაშქრობა დასავლეთისაკენ. მაჰმადიანი ხელმწიფენი უზომო შიშმა მოიცვა. რუმის სულტანმა ჯვაროსნებს შესთავაზა მოკავშირეობა.

1238 წელს ევროპაში ჩავიდა ასასინთა ორდენის ელჩობა. ორდენის მბრძანებელი, ვისი სახელიც შიშის ზარს სცემდა აღმოსავლეთსაც და დასავლეთსაც, ამჯერად დახმარებას სთხოვდა საფრანგეთისა და ინგლისის მეფეებს, აფრთხილებდა, რომ ისლამის ძალები ვერ შეაკავებდნენ კაციჭამია მონღოლთა ტალღას და დასავლეთის ქვეყნებსაც არ ასცდებოდა აოხრება.

მათეო პარიზელის გადმოცემით, როდესაც ასასინთა ელჩები წარდგნენ ინგლისის მეფის წინაშე და ზემოთქმული მოახსენეს, ვინჩესტერის ეპისკოპოსმა ხელში ჯვარი აიღო და ხმამაღლა წარმოთქვა: „დაე, ამ ძაღლებმა დაჭამონ ერთმანეთი და ამგვარად ამოწყდნენ. როცა ჩვენ გავემართებით ქრისტეს მტერთა წინააღმდეგ, გადარჩენილთ ამოვჟუჟავთ და გავასუფთავებთ მიწის პირს, რათა ყველა ხალხი დაემორჩილოს ერთადერთ კათოლიკურ ეკლესიას და ჰყავდეს ერთადერთი მწყემსი!“.

მონღოლებმა ევროპასაც მალე გააცნეს თავი და დიდი განგაში გამოიწვიეს. ღმერთმა უწყის, ტყუილია თუ მართალი, მაგრამ წერენ, რომ მათ პოლონეთში დახოცილთა ორასი ათასი ყური შეაგროვეს ტომრებში, როგორც ნაღდი საბუთი თავისი გმირობისა.

მონღოლთა შემოსევა ბუნების ბრმა ძალთა სასტიკ კატაკლიზმს უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანთა ისტორიის მოვლენას. მათ ერთობ სწრაფად გადაქელეს უზარმაზარი სივრცეები იაპონიიდან გერმანიამდე, და სადაც კი გაბატონდნენ, კარლ მარქსის სიტყვით, „სისტემატური ტერორის რეჟიმი“ დაამყარეს.

ხოლო ლეგენდებსა და ილუზიებს, ევროპასა თუ აზიაში, რა თქმა უნდა, ნიადაგი გამოეცალა.

ზ. ჯაფარაშვილი.

ჳანო ბურდულაძე

# პროკურორის ჩანაწერები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოქალაქე და არამკითხე მოწმე

ეს ამბავი კახეთში მოხდა. მთელი ჩემი მუშაობის პრაქტიკიდან იგი განსაკუთრებით დამამახსოვრდა, ერთხელ, ორშაბათ დილით, საერთაშორისო პროკურატურასა და მილიციაში გამოცხადდა სოფელ დაბალხევის მცხოვრები ალექსი ღვინიაშვილი და განაცხადა — ჩემი მეზობელი ოთარ კახიძე დღისით, მზისით მიეჭრა ჩემს ცოლს ჩემსავე ბინაზე, როცა მე შინ არ ვიყავი, შეუვარდა სახლში მარტო მყოფ ქალს და გაუპატიურება დაუპირა. ქალმა, რა თქმა უნდა, ატეხა განგაში, მოძალადე გამოაგდო... ქვეყანამ გაიგო ეს ამბავი, მეზობლების თვალსა და ყურს რა დაემალება! ახლა თუ თქვენ ჩემი ოჯახის შემრცხვენელს სასტიკად არ დასჯით, მაშინ მე თვითონ გავუსწორდები.

დავამშვიდეთ, ვუთხარით, რომ კანონი სამაგიეროს მიუზღავდა მოძალადეს, გავისტუმრეთ და დავიწყეთ საქმის ძიება. აი რა გამოირკვა: კვირა დილით, საუზმის შემდეგ ალექსიმ ცოლს უთხრა — ჩემი დაი დიდი ხანია არ მინახავს, მემდურის, დღეს ბავშვს წავიყვან და მთელ დღეს იქ დავრჩები. სადილის მომზადებისათვის ნუ შეწუხდებიო.

ნაზიკომ კოხტად გამოაწყო თავისი ხუთი წლის ბიჭუნა და მამა-შვილი სტუმრად წავიდნენ.

მოხდა, ისე, რომ ალექსი მალე მობრუნდა შინ, დაი სახლში არ დახვედროდა. მობრუნდა, მაგრამ ვაი ამ მობრუნებას, ეზოში აურზაური იყო ატეხილი; მიხვდა, რომ რაღაც უბედურება მოხდა ოჯახში, კაბაჩამოხეული და თმაგაწეწილი ნაზიკო მწარედ მოსთქვამდა, ხოლო ორღობეში მირბოდა ოთარ კახიძე, ალექსი გაეკიდა მას, მაგრამ მოძალადემ გაასწრო, გაუსხლტა ხელიდან და მიიმალა. გულგახეთქილი და ბრაზით სავსე ალექსი დაბრუნდა შინ და ცოლს დამშვიდება დაუწყო, მერე ოთარის მოსაკლავად წასვლა დააპირა, მაგრამ გადაათქმევინეს — სჯობია კანონს მიმართოო, ამიტომაც მეორე დღეს მან პროკურატურას მიაკითხა.

გაცემული იქნა განკარგულება კახიძის დაპატიმრებაზე. გაურკვეველი და სადავო არაფერი რჩებოდა. დანაშაული ცხადი და აშკარა იყო. საქმე სასამართლოს უნდა გადასცემოდა, როდესაც ჩემთან მოვიდა ერთი მათივე თანასოფლელი ახალგაზრდა კაცი და მითხრა:

— ძია ვანო, თქვენთან საიდუმლო სალაპარაკო მაქვს... ოღონდ რასაც გეტყვით, ჩვენში უნდა დარჩეს.

ამაზე არც ჰო ვუთხარი და არც არა. პასუხი არ გავეცი, სკამი შევთავაზე და ვთხოვე ეთქვა ყველაფერი.

შეყოყმანდა, წამოდგა და წასვლა დააპირა. უკვე როგორღაც უნდობლად მიყურებდა, სიტყვას ბანზე მიგდებდა. მერე მითხრა:

— თვითონ ოთარმა რა თქვა დაკითხვაზე, არ გითხრათ უდანაშაულო ვარო!

გამაკვირვა მისმა ნათქვამმა.

— მაგას როგორ იტყოდა! ყველაფერი აღიარა და თავი დამნაშავედ სცნო. ისე დამსაჯეთ, როგორც დავიმსახურეო.

— საკვირველია!

— რა არის, ბიჭო, საკვირველი?!

— ის, რომ ოთარი ტყუილად იკიდებს ზურგზე დანაშაულს.

— გესმის რას ლაპარაკობ?

— მაშ აბა, მომისმინეთ, — გადაწყვიტა ბიჭმა, - იმ დილით ყველაფერი ჩემი თვალით დავინახე. ეგენი ჩემი მეზობლები არიან. როგორც კი ქმარშვილი გააცილა და თავი მარტო დაიგულა, ის ქალბატონი აივანზე გამოვიდა, ხელში წიგნი ეჭირა, დაჯდა და კითხვა დაიწყო, თანაც ოთარის ფანჯრისაკენ იმზირებოდა. როცა ოთარი ფანჯრის რაფაზე გადმოეყუდა, ქალმა წიგნი ხელში ასწია და დაიქნია, თავისთან მიიხმო, ოთარმაც, გავიგეო, მარცხენა ხელი ასწია მაღლა, ცოტა ხანს მერე გამოვიდა და მათი ბაღჩის კარი შეაღო. მერე რაც მოხდა, ყველაფერი იცით...

— ეგ რომელ კინოში ნახე? არ გახსოვს, სათაური რა ჰქონდა?

ბიჭი გაწითლდა და ძლივს ამოილუღლუღა:

— რა ვქნა, ძია ვანო! თვალებს ხომ არ დავითხრიდი, არც აქ მოვიდოდი, ბიჭი ტყუილ-უბრალოდ რომ არ იღუპებოდეს.

— მერე, თვითონ ოთარს ენა არა აქვს, თქვას რომ ასე და ასე იყოო... რატომ არაფერს ამბობს?

— რა ვიცი, — თავი მოიფხანა არამკითხე დამცველმა, — ასეთი ჯიუტი ბიჭია, ნაზიკოსა და მაგას პატარაობიდან უყვარდათ ერთიმეორე, პირობაცა ჰქონდათ მიცემული, მერე ოთარი ჯარში გაიწვიეს, სავალდებულო სამსახური რომ მოითავა და დაბრუნდა, ნაზი გათხოვილი დახვდა... ასეთ ლამაზ ქალს ვინ გააჩერებდა იმდენ ხანს! ჰოდა, ველარც ოთარმა დათმო, ისევ მონახეს ერთიმეორე, ხვდებოდნენ, როცა მოახერხებდნენ. ამ დილითაც ასე იყო.

— ვთქვათ მასეა, მაგრამ ეს აურზაური, ეს ჩამოგლეჯილი ტანსაცმელი, ეს მოთქმა და ტირილი, საჩივარი, რას ნიშნავს ყოველივე ეს? შენ სხვა რამე ხომ არ გალაპარაკებს? იცოდე, სასამართლო მარტო ფაქტებს გაუწევს ანგარიშს და არა რაღაც ჭორებს. შენც ხეირი არ დაგეყრება, თუ ცრუმოწმეობა დაგიმტკიცდა.

— ძია ვანო, ხომ გთხოვე, საქმეში ნუ გამიყვანმეთქი...

— შენ თუ კაი კაცი ხარ, საჯაროდ გამოსვლისა რათ გეშინიან?

— ძია ვანო, შენი ჭირიმე, მე არაფერი არ მითქვამს...

— კარგი, წადი-მეთქი, ვუთხარი.

გავისტუმრე ბიჭი და გადავწყვიტე შემემოწმებინა მისი ნათქვამი. ისე კი შემაეჭვა მისმა ნალაპარაკევმა, ჯერ ერთი, თავისი ფეხით მოვიდა, არავის გამოუძახნია. რა აწუხებს — ბრალდებულის ახლო მეგობარია თუ დაზარალებულის ინტერესი აქვს და შურისძიების მიზნით თხზავს რაღაც ზღაპარს...

დავკითხეთ მოწმეები, ერთი მხარეც და მეორეც: ერთის ახლობლები და ნაცნობებიც, მეორისაც... იმ ბიჭის ცნობები არ დაადასტურეს, აშკარა იყო, ეს ბიჭი ოთარის მეგობრებმა გამოგზავნეს პროკურატურაში, რათა მართლმსაჯულების წინაშე ქალისათვის სახელი გაეტეხათ და თავიანთი ძმაკაცის დანაშაული შეემსუბუქებინათ. ადვილად ამოსაცნობი ხრიკი იყო.

როცა ყოველივე ეს ჩემთვის ნათელი გახდა, გადავწყვიტე ბრალდებული უფრო გულახდილ საუბარში გამომეწვია. ოთარს ვუთხარი:

— გამოძიება თითქმის დამთავრებულია, მაგრამ ორიოდე შეკითხვა კიდევ მაქვს.

— განა რამე დარჩა გასარკვევი?

— დარჩა. მითხარი, ნაზი ღვინიაშვილს დიდი ხანია იცნობ?

— დიდი ხანია. პირველ კლასიდან. [illegible] სამუ[illegible] ერთად დავამთავრეთ.

— მერედა, ბიჭო, სად დაკარგე სირცხვილი? რამე რომ გასჭირვებოდა, შენ უნდა ყოფილიყავ მაგის მფარველი. შენ კი სკოლის ამხანაგს, თანშეზრდილს, პატარა ბავშვის დედას შინ მიუვარდი, ნამუსის ახდა მოუნდომე.

ოთარმა თავი ჩ-ღუნა. არაფერი მიპასუხა.

— ამოიღე ხმა. თქვი რამ ჩაგადენინა ეს?

— არ ვიცი, მოქალაქე პროკურორო, არ ვიცი, ღვინის ბრალია.

— ღვინოს ჭკუა თან არ უნდა გადააყოლო. იცი თუ არა, რომ შენს საქციელზე კანონი სამ წელს ითვალისწინებს.

— რაც გინდათ, ის მიქენით, მაგრამ ეს კი იცოდეთ — ეგ უსინდისო ქალია... პატარაობიდან გვიყვარდა ერთიმეორე, ორი წელი არ დამიცადა.. ბოლოს და ბოლოს, სამხედრო სამსახური უნდა მომეხადა, ომში ხომ არ ვიყავი... ომში წასულებს უცდიდნენ, ორი და სამი წელი კი არა, მთელი სიცოცხლე უცდიდნენ...

— გაჩუმდი, შენ იმის უფლებაც კი დაჰკარგე, რომ მათი სახელები ახსენო და მათზე ილაპარაკო! დახეთ, ვის შეადარა თავს!

ბიჭმა ჩაღუნა თავი და ხმა ველარ ამოიღო. დავუძახე მილიციელს და ვუბრძანე დამნაშავე წაეყვანა.

სასამართლომ მოძალადეს ორი წლით პატიმრობა მიუსაჯა, შესაფერი სასჯელი მიიღო ცრუ მოწმემაც.

## ნუ უთხრი სხვას ორმოს

პროკურატურაში ატირებული ქალი მოიჭრა, მიშველეთ, ქმარი მომიკლესო. მკვლელობის ადგილზე სასწრაფოდ გაეშურნენ გამომძიებელი და სამედიცინო ექსპერტი. მიცვალებული თავისავე ხეხილის ბაღში ეგდო.

ბაღი კი მართლაც მშვენიერი ჰქონდა ბაიდო მდივნიშვილს. ყოველ სეზონში, ზაფხული იყო თუ შემოდგომა, მიდიოდა ამ ბაღიდან ბოდბისხევის ბაზარზე ხილის კალათებით დატვირთული „მოსკვიჩი", საჭესთან თვითონ ბაიდო იჯდა, მაგრამ არასოდეს ვაჭრობდა, დადგებოდა კალათების ახლოს, აბოლებდა სიგარეტს, და ცალი თვალი თავისი საქონლისაკენ ეჭირა — გამყიდველის გაკონტროლება იყო საჭირო.

ერთხელ, ბაზრიდან რომ მობრუნდა, თავის ბაღში ყველაზე კარგი კახაბალი, თბილისში რომ უპირებდა წაღებას, ცალ მხარეს სულ გაკრეფილი დაუხვდა. ეწყინა ბაიდოს, ერთი კუნწულა რა არის, ის არ მიუწოდებია მეზობლისათვის, მამაჩემის ოხლები ხომ არ არიან, მუქთად რად უნდა ვაჭამოო! აქ კი მეზობლის ბიჭ-ბუჭებს მთელი ერთი ტოტი მთლიანად გაეკიწათ (ბაიდოსავე სიტყვით რომ ვთქვათ).

ბაიდო თავის მანქანაში მცირე შესაკეთებელ რამეზე არავის დაიხმარებდა, — ტექნიკაში კარგად იყო გარკვეულ-გაწაფული. ახლაც გამოადგა ეს ცოდნა — იმავე დღეს ბლის ხეს მოახვია მავთული, დაუკავშირა ჩართულ დენს და არხეინად დაიძინა. მეზობლის ბავშვები ჩუმად ათვალიერებდნენ მთელ მის საქმიანობას, ტექნიკაში ეს მაიმუნები ბაიდოზე ნაკლებ როდი იყვნენ გარკვეულნი. იმ დღის შემდეგ მის ბაღს ბლის ქურდი აღარ გაჰკარებია.

თვითონ ბაიდოს კი დაავიწყდა თავისივე ოინი, ავიდა ხეზე, მოსწია დახუნძლული ტოტი, დაჰკრა დენმა და კაცი იმწამსვე გამოასალმა სიცოცხლეს

# ინტერვიუს იღებს მკითხველი

## სპორტული კლუბი „დროშა“ სკ

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნონა გაფრინდაშვილს კითხვებით მიმართავენ ჩვენი მკითხველები — თამაზ ჯაფარიძე, რამზე ბართაია, გიორგი გიორგობიანი, ავთანდილ გიუნაშვილი, რუსლან შირიაევი, ალინა ხომერიკი, ნიაზ ჯეირანაშვილი (თბილისი), თამაზ მიქელაძე (მოსკოვი), ალა ბუბნოვა (ლენინგრადი), ზოია ხიზოვა, ლიუდმილა გურიევა (რიგა), ნანული ჯანაშია (ბათუმი), ნათელა ყლენტი (ქობულეთი).**

**— ვინ მიგაჩნიათ ყველა დროის უდიდეს მოჭადრაკედ?**

— ამ კითხვაზე ყოველთვის მიჭირდა პასუხის გაცემა. გაიფიქრებ უძლეველ მორფიზე, მაშინვე გაგახსენდება ღრმა საჭადრაკო მოაზროვნე სტეინიცი. ზოგჯერ შეუდარებელ ფსიქოლოგ ლასკერის პარტიებით იხიბლები, თანაც კაპაბლანკას ვირტუოზობა და ელეგანტურობა მოგწონს, „კომბინაციის მეფე“ ალიოხინი, დიდი სტრატეგი ბოტვინიკი... ძნელია, რომელიმე ერთი მათგანის გამორჩევა.

**— დაასახელეთ ის კორიფეები, რომლებმაც ზეგავლენა მოახდინეს თქვენს შემოქმედებაზე?**

— ძველი მოჭადრაკეებიდან ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვსწავლობდი კაპაბლანკასა და ალიოხინს, ახლებიდან — ცეცხლოვან და თვალწარმტაც ტალს.

**— რას იტყვით ქართულ საჭადრაკო ალმანახის დაბადებაზე?**

— ეს მეტისმეტად სასიამოვნო მოვლენა გახლავთ ყველა ქართველი მოჭადრაკისა, თუ გულშემატკივრისათვის. იგი შემდგომ ბიძგს მისცემს ჭადრაკის განვითარებას საქართველოში. ცხადია, კიდევ უკეთესი იქნებ თუ ერთ მშვენიერ დღეს ალმანახი ყოველთვიურ ჟურნალად გადაკეთდება. საჭადრაკო ჟურნალი საქართველოში მეტად საჭიროა.

**— რა მიგაჩნიათ ქართული სპორტის უდიდეს მიღწევად მისი არსებობის მთელ მანძილზე?**

— ქართულ სპორტს მრავალი ბრწყინვალე გამარჯვება ახსოვს. თუ რომელიმე მათგანის საგანგებოდ გამოყოფაა საჭირო, დაე ასე იყოს: ჩემთვის სამუდამოდ დაუვიწყარია ნინო დუმბაძის, ომარ ფხაკაძისა და რობერტ შავლაყაძის დიდებული მიღწევები.

**— სპორტის რა სახეები გიტაცებთ?**

— სპორტის თითქმის ყველა სახე, კრივის გარდა. კრივი ზოგჯერ ხომ ფრიად უხეშია (მე, რა თქმა უნდა, ქალის პოზიციებიდან გელაპარაკებით). მაგრამ ერთი გარემოებაც — როგორც კი იწყება კრივის რომელიმე მატჩის ტელეგადაცემა, ვერ ვითმენ და ინტერესით ვუყურებ.

ისე კი, სპორტის სახეებიდან ყოველთვის სიამოვნებით ვადევნებ თვალყურს ფეხბურთს. ვესწრები მატჩებს, ვკითხულობ ანგარიშებს. ჩემი სიმპათიები, ცხადია, მთლიანად თბილისის „დინამოს“ მხარეზეა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ წლეულს არაერთგზის გვატკინეს გული.

**— რას იტყვით ქალთა ფეხბურთზე? ზოგ ქვეყანაში ხომ მან საკმაოდ მოიკიდა ფეხი.**

— რატომაც არ უნდა ითამაშონ გოგონებმა ფეხბურთი? განა ამ მატჩებს არ ეყოლება მაყურებელი? მე, მაგალითად, სიამოვნებით დავესწრებოდი ასეთ სანახაობას. დამერწმუნეთ, ჩვენთან რომ ქალებმა დაიწყონ თამაში, ვაჟებს შერცხვებათ და მკვეთრად აიმაღლებენ ოსტატობას. მათ აშკარად შეეშინდებათ ქალებმა არ გვაჯობონო.

**— რომელ დიდოსტატებს შეხვედრიხართ?**

— საკმაოდ ბევრს — კერესს, ტალს, გლიგორიჩს, გელერს, ოლაფსონს, ხოლმოვს, ვასიუკოვს, გუფელდს, გეორგიუს, სუეტინს, გურგენიძეს.

გეორგიუსა და სუეტინთან სუსტად ვითამაშე და თითქმის უბრძოლველად წავაგე. ყველა დანარჩენი საინტერესო თამაში იყო. გლიგორიჩთან ორჯერ თანაბარ პოზიციაში შეცდომა მომივიდა სწორედ პარტიის გადადების წინ. მინდა გამოვყო შეხვედრა კერესთან, რომელსაც ჰასტინგსში ისეთი სატურნირო მდგომარეობა შექმნა, რომ აუცილებლად უნდა მოეგო ჩემთან. წინააღმდეგ შემთხვევაში მას შეიძლება პირველი პრიზიც კი გამოსცლოდა ხელიდან. ეს მეტად მძაფრი პარტია შეხლა-შემოხლის შემდეგ ყაიმით დამთავრდა. მე წარმოდგენილი მქონდა კერესის შინაგანი მდგომარეობა, მაგრამ, როგორც ეს ჩინებულად აღზრდილ კაცს შეშვენის, მან არაფერი შეიმჩნია.

**— მოგვიყევით, თუ შეიძლება, რაიმე მხიარული შემთხვევა თქვენი პრაქტიკიდან?**

— ერთხელ ერევნელებმა მიმიწვიეს ერთდროული თამაშის სეანსის გასამართავად. მატარებლის კუპეში ორი ახალგაზრდა ოფიცერი თამაშობდა შაშს. ბოლოს, ერთ-ერთ მათგანს, რომელიც უკეთესად თამაშობდა (როგორც გამოირკვა, თანრიგიც ჰქონდა), ეტყობა გაუთავებელი მოგებები მოეწყინა; ამიტომ მე შემომთავაზა ბრძოლა. უნდა მოგახსენოთ, რომ შაშის თამაშის დიდი სპეციალისტი არ გახლავართ. წინადადება მაინც მივიღე და სათანადო წინააღმდეგობაც გავუწიე. ბოლოს ახალგაზრდა ოფიცერმა მითხრა: „თქვენ შაშის თამაშში უდავო ნიჭი გაქვთ. ითამაშეთ, შეიძლება თანრიგიც მოგანიჭონ“. ცოტას გასცდა, სათანადო ლიტერატურაც არ დამისახელა დასამუშავებლად. მე მაინც არ ვუთხარი, ვინ ვიყავი.

ერთი უფრო ადრეული შემთხვევა არასოდეს დამავიწყდება. 1955 წელს საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში ვთამაშობდი, რომელიც რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში მიმდინარეობდა. საოცარი აჟიოტაჟი იყო. დარბაზი, ცხადია, ვერ იტევდა დასწრების მსურველებს, თეატრის შესასვლელთან დიდძალი მაყურებელი იყრიდა თავს. ხალხი არ იშლებოდა, სანამ პარტიის შედეგი არ ხდებოდა ცნობილი. უფრო მეტიც, ჩემი ყოველი დაბრუნება სახლში პრობლემა ხდებოდა და აი ასეთ პირობებში ვიღაცას მოაფიქრდა ჩემთვის მილიციელები მოეჩინა. ისინი თეატრიდან გამოსვლისას თან მომყვებოდნენ და სახლში მაცილებდნენ.

და აი მოვდივარ ერთხელ ასე, რუსთაველის პროსპექტზე, ორი მილიციელის თანხლებით. ხნიერი მანდილოსანი შემოგვხვდა, რომელმაც ტირილი დაიწყო: „რა დააშავა ამ პატარა გოგომ (14 წლისა ვიყავი), რომ დაუჭერიათ, უთუოდ რაიმე გაუგებრობაა, საწყალი უნდა გაავნთავისუფლებინოთო“.

ერთი ასეთი შემთხვევაც: ჰასტინგსში ელვისებური თამაშის ტურნირი გაიმართა. მე და ტალმა 5-5 პარტია მოვიგეთ და უკანასკნელ, გადამწყვეტ პარტიაში ერთმანეთს შევხვდით. სწორი გითხრათ, ასეთ მეტოქესთან ყაიმიც მაძლევდა ხელს. ამიტომ ისეთი ვარიანტი ავირჩიე, რომელიც ბრძოლას არ ამწვავებდა და ფაქტიურად, ყაიმის ჩუმად შეთავაზებას უდრიდა. ტალი თითქოს მიმიხვდა, ჯერ წამომყვა კიდეც, მაგრამ ჰოი საკვირველებავ, მალე ყაიმის გზას გადაუხვია და წააგო კიდეც. როგორც პარტიის შემდეგ გამოირკვა, იგი სრულიადაც არ ყოფილა დაზავების მოწინააღმდეგე, მაგრამ „შორიდან“ რაღაც კომბინაცია დაუნახავს, მოუნდომებია კიდეც მისი განხორციელება და უზრუნველყოფილი ყაიმის ნაცვლად წაგება ხვდა წილად. რას იზამ, ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვს!

**— თქვენი ნათამაშევი პარტიებიდან რომლებს გამოყოფდით?**

— 1957 წელს ბათუმში, საკავშირო პირველობის ნახევარფინალში ტიხომიროვასთან ნათამაშევ პარტიას, 1961 წელს პრეტენდენტთა ტურნირში (ვრნიაჩკა-ბანია) ლაზარევიჩთან მოგებას და 1964 წელს სოხუმის საერთაშორისო ტურნირში კელერ-გერმანის დამარცხებას.

მეტად საინტერესო ამბები მოხდა ლაზარევიჩთან შეხვედრისას. ამ პარტიაში გამარჯვებულს მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტად გახდომის დიდი შესაძლებლობები ჰქონდა. ამიტომ მას დიდი დაძაბულობით ადევნებდნენ თვალს მრავალრიცხოვანი სპეციალისტები, მათ შორის, ცნობილი დიდოსტატი იგორ ბონდარევსკიც. საინტერესოა აღინიშნოს, რომ პარტიის მსვლელობის დროს ბონდარევსკიმ თანმიმდევრულად მომანიჭა ვაჟთა შორის ოსტატობის კანდიდატის, ოსტატისა და დიდოსტატის (!) წოდებები. როგორ მოხდა ეს? ახლავე მოგახსენებთ. შეიქმნა პოზიცია, სადაც შემეძლო მეტად ძლიერი და ამავე დროს, ძნელი სვლა გამეკეთებინა. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა ეს სვლა კიდევაც გამომრჩენოდა მხედველობიდან. როდესაც სწორად ვითამაშე, ბონდარევსკიმ თურმე ჩაილაპარაკა: „იგი კარგი ოსტატობის კანდიდატის ძალით თამაშობს, ბარაქალა!“ დადგა კიდევ უფრო ძნელი მომენტი. „თუ ახლა ნონა სვლას დაინახავს, ოსტატობის კანდიდატობა კი არა, ოსტატობა უნდა მიენიჭოს!“ ეს სვლაც დავინახე. უცნაურად ვითარდება ზოგჯერ საჭადრაკო პარტია. რამდენიმე სვლის შემდეგ ფრიად კრიტიკული მდგომარეობა შეიქმნა: „აი, ამ ღრმად შენიღბულ მანევრს თუ დაინახავს, მაშინ ოსტატობა კი არა, დიდოსტატობა უნდა მიენიჭოს“. დიდი იყო ბონდარევსკის გაოცება, როდესაც ამ მანევრსაც მივაგენი და მომენიჭა... დიდოსტატობა! ამ საუბრის შესახებ მე, ცხადია, მხოლოდ პარტიის შემდეგ შევიტყვე.

**— რას გვეტყვით ქართველი მოჭადრაკე ქალების ახალი თაობის შესახებ?**

— თქვენ უთუოდ გოგონებს გულისხმობთ. უნდა გამოგიტყდეთ, რომ მათ თამაშს სათანადოდ არ ვიცნობ. მოჭადრაკის ოსტატობაზე სრული წარმოდგენისათვის აუცილებელია მას ეთამაშო. მე კი ამ უკანასკნელ ხანებში არ მქონდა საშუალება მონაწილეობა მიმეღო საქართველოს ჩემპიონატებში. ისე კი, თუ მიმომხილველებს დავუჯერებთ, დიდ იმედებს იძლევა 10 წლის ქუთაისელი გოგონა მაია ჩიბურდანიძე, იმედია, მე მას უახლოეს ხანებში გავიცნობ.

**— რომელი წლიდან უნდა დაიწყოს ბავშვმა ჭადრაკის თამაში?**

— აქ ძნელია რაიმე ზოგადი კანონის დადგენა. მე პირადად 5 წლიდან დავიწყე თამაში. ამასთან მიტაცებდა ბრძოლის პროცესი, თავდაპირველად სხვა

არაფერი. როდესაც ჩემმა ძმამ ემზარმა, რომელსაც პირველი თანრიგი ჰქონდა, მოისურვა ჩემთვის ზოგი რამ თეორიიდანაც ესწავლებინა, სრულიადაც არ დავინტერესდი. მე მინდოდა თამაში და მხოლოდ თამაში. რაც შეეხება ჭადრაკის წიგნებს, ისინი გაცილებით უფრო გვიან წავიკითხე.

**— ქალთა შორის ძველი მსოფლიო ჩემპიონებიდან ვის აფასებთ ყველაზე უფრო მეტად?**

— მათ შორის უძლიერესი, ცხადია, ვერა მენჩიკი იყო. ისე კი, რა თქმა უნდა, ჭადრაკს დიდი ამაგი დასდეს ლიუდმილა რუდენკომ, ოლღა რუბცოვამ და ელისაბედ ბიკოვამ.

**— მსოფლიო ჩემპიონების გარდა რომელი ოსტატების თამაშს გამოჰყოფდით?**

— მე მინდა გამოვყო სამი ოსტატი — ვალენტინა ბორისენკო, ლარისა ვოლპერტი, კირა ზვორიკინა. მე როდესაც თამაში დავიწყე, ეს სამი მოჭადრაკე ჩინებულ წარმატებებს აღწევდა და ახალგაზრდა მოჭადრაკეებზეც უდავო გავლენა მოახდინეს.

**— ახლა ვინ მიეკუთვნება საბჭოთა კავშირის უძლიერესი ოსტატების რიგებს?**

— პირველ რიგში, ალა კუშნირი, ნანა ალექსანდრია, ტატიანა ზატულოვსკაია.

**— ნანასთან როგორი ანგარიში გაქვთ?**

— დღემდე ჩვენი ყველა პარტია სწრაფი ყაიმით მთავრდებოდა.

**— ვინ მიგაჩნიათ № 1 მოჭადრაკე ქალად უცხოეთში?**

— ასეთი უდავოდ გახლავთ რუმინელი ალექსანდრა ნიკოლაუ. სამწუხაროდ, მან ზონალური ტურნირი გამოტოვა და, ამდენად, არა ჰქონდა საზონათშორისო ტურნირში მონაწილეობის უფლება. ერთი სიტყვით, ალექსანდრა ნიკოლაუმ ახლა უნდა იცადოს მთელი 3 წელი მსოფლიო პირველობის მომდევნო ციკლამდე.

**— ვინ ითამაშებს პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში ქალთა შორის?**

— თუ რაიმე დიდი მოულოდნელობა არ მოხდა, ფინალურ მატჩში ერთმანეთს უნდა შეხვდნენ ნანა ალექსანდრია და ალა კუშნირი.

**— ვინ ითამაშებს პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში ვაჟთა შორის?**

— მე ვფიქრობ, პეტროსიანი და ფიშერი.

**— თქვენი აზრი ფიშერის შესახებ?**

— ფიშერი უდავოდ უნდა მივიჩნიოთ თანამედროვეობის ერთ-ერთ უძლიერეს, ფრიად კოლორიტულ დიდოსტატად. მას მრავალი ღირსება გააჩნია, მათ შორის, რა თქმა უნდა, ახალგაზრდობა, საოცარი საბრძოლო ჟინი (იგი ხომ არავითარ შემთხვევაში არ თანხმდება ყაიმზე), დიდი ერუდიცია. ფიშერი უნდა მივიჩნიოთ მსოფლიო ჩემპიონობის სავსებით რეალურ პრეტენდენტად.

**— სწორად მიგაჩნიათ თუ არა მსოფლიო პირველობის გათამაშების სისტემა ჭადრაკში ქალთა და ვაჟთა შორის? ამ საკითხზე ახლა დიდი დისკუსია მიმდინარეობს.**

— ჩემი აზრით, მოქმედი სისტემა სწორია, მისი განხორციელებისას ძლიერი არასოდეს იჩაგრება. ერთი ამბავიცაა: იდეალურ სისტემას ვერ მოიფიქრებ. რამდენი კარგი წესიც არ უნდა შემოიღო, ვინმე მაინც უკმაყოფილო დარჩება. ძნელია ყველა დააკმაყოფილო.

**— თქვენი გეგმები?**

— მას შემდეგ, რაც ჩემი ვაჟი რამდენადმე წამოიზარდა, ერთწლიანი შესვენების შემდეგ დავუბრუნდი ჭადრაკს. პირველ ოქტომბერს სოხუმში იწყება გამოჩენილ ქართველ ოსტატ ვ. გოგლიძის მემორიალი. აქ მძლავრი შემადგენლობა მოიყრის თავს, ამიტომ ვაპირებ თამაშს. თუ შევძელი, ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალშიც ვითამაშებ. დეკემბრის პირველი რიცხვებიდან ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ჩავებმები. აქაც მეტად ძლიერი შემადგენლობა მოიყრის თავს.

მთავარი კი ჩემთვის მსოფლიო პირველობაზე მომავალი მატჩისათვის მზადებაა.

**— როდის იქნება ეს მატჩი?**

— ზუსტი ცხრილი მხოლოდ მაშინ გახდება ცნობილი, როდესაც პრეტენდენტი გამოვლინდება. ისე კი, საორიენტაციოდ, შეიძლება ითქვას, რომ მატჩი გაისად გაზაფხულზე გაიმართება.

სტეფანია გროძენსკა

# სამაგალითო საქციელი

იუმორისტული მოთხრობა

კვირა დილით მთელი ვარშავა აალაპარაკა უჩვეულო ამბავმა: ჭაბუკმა ეჟი კოტეკმა უცნობ მოხუც ქალს ტროლეიბუსში ადგილი დაუთმო!

გავიგე თუ არა, იმწამსვე რეპორტიორის ბლოკნოტით შევიარაღდი და იმ სახლისაკენ გავვარდი, სადაც ეჟი კოტეკი ცხოვრობდა. სახლის წინ აურიცხელ ხალხს მოეყარა თავი, სურდათ სახელოვან ჭაბუკს მისალმებოდნენ. მილიციელთა ალყა იცავდა ამ თავაზიანი რაინდის მყუდროებას. სპეციალურმა ბიურომ საშვი მხოლოდ მეორე დღისთვის მომცა, რადგან იმ დღისთვის ყველა საშვი დაჯავშნილი იყო უცხოეთის დელეგაციების, პროფკავშირული ორგანიზაციების, მსახიობთა კოლექტივების, პოლონეთის რადიოსა და ტელევიზიისათვის.

მეორე დღეს, დილაადრიან უკვე ადგილზე ვიყავი და რიგში ორი საათის ცდის შემდეგ მხვდა ბედნიერება თვით კოტეკს შევხვედროდი. თვალი და ყური რომ შევაჩვიე პროჟექტორების შუქსა და ფოტოაპარატების ჩხაკუნს, აღელვებულმა შევხედე ამ განსაცვიფრებელ ადამიანს. ერთი შეხედვით, იგი ჩვეულებრივ ახალგაზრდა კაცად შეიძლებოდა მიგეღოთ, ათასობით რომ გვხვდებიან ჩვენი ქალაქების ქუჩებში, მაგრამ დააკვირდებოდით თუ არა, თვალში გეცემოდათ მისი ნაკვთების არაჩვეულებრივი კეთილშობილება.

ჩემს გამოჩენაზე ეჟიმ უკმაყოფილოდ წამოიძახა:

— კვლავ ინტერვიუ!

— რამ შთაგაგონათ ასე მოქცეულიყავით? — ვკითხე მორიდებით.

— გიპასუხებთ დაუფარავად. იმ დილით გავიღვიძე მშვენიერი განზრახვით, კარგი რამ გამეკეთებინა. ჩემი გული აღსავსე იყო სითბოთი და სურვილით სიკეთე მომეტანა ადამიანებისათვის. ჩემს თავს ასე ვუთხარი: „ეჟი, დაიწყე ეს დღე ისეთი საქციელით, რაც თანამედროვე კაცობრიობას დიდხანს დარჩება კეთილშობილურ მოგონებად!“

— თქვენ ასე გაიფიქრეთ? — წავიჩურჩულე გაოცებულმა.

— დიახ, სწორედ ასე! და აი, გამოვედი შინიდან. ვგრძნობდი, ხალხისადმი სიყვარულმა როგორ იფეთქა ჩემში. მაღაზიები დაკეტილი რომ არ ყოფილიყო, შევიდოდი პირველსავე „გასტრონომში“, ვიყიდიდი შებოლილ ძეხვს და ისე, რომ ჩემს ვინაობას არც ვიტყოდი, პირველ შემხვედრ ობოლს ვაჩუქებდი... ოჰ, როგორ ვოცნებობდი იმაზე, რომ ვინმე ბავშვი ავტომობილის ქვეშ ჩავარდნილიყო და მე იგი გადამერჩინა, თუნდაც თავად დავღუპულიყავი... ერთხანს ვიდექი ტროლეიბუსის გაჩერებასთან, და აი ისიც გამოჩნდა.

— რომელი ნომერი იყო არ გახსოვთ? —ვკითხე აღელვებულმა.

— ამას რა დამავიწყებს! ეს იყო მეცხრე ნომერი.

ეს რომ თქვა, ხმა ჩაუწყდა, მაგრამ მალვე დაეუფლა თავს და განაგრძო:

— ტროლეიბუსში უცებ ერთი ადგილი გათავისუფლდა — სხვა რამდენიმე ახალგაზრდასთან ხანმოკლე ბრძოლის შედეგად ადგილს მე დავეუფლე, მაგრამ იქვე შევნიშნე, რომ ჩემს გვერდით მოხუცი ქალი იდგა.

ყველა მსმენელმა სუნთქვა შეიკრა... ეჟიმ თავდავიწყებით განაგრძო:

— მე, ალბათ, ყურადღებას არ მივაქცევდი ამ ყოველდღიურ სურათს, თუ არა შინაგანი ხმა, რომელმაც დაიძახა ჩემში... აი, აქ, შიგ გულში დაიძახა ხმამ: „ეჟი კოტეკ! შენ შემთხვევას ეძებ, რომ შესანიშნავი საქციელი ჩაიდინო. და აქ, შენს წინ ჭეშმარიტად დგას მოხუცი ქალი“.

მერე ყველაფერი ისე იყო, როგორც სიზმარში... მე არ ვიცი, ეს როგორ მოხდა. გთხოვთ მომიტევოთ, მიმძიმს ამაზე ლაპარაკი...

მან ცხვირი მოიწმინდა და წყალი შესვა, ოთახში დაძაბული მდუმარება სუფევდა. მოლილილად ჩხაკუნობდნენ ფოტოაპარატები, წრიპინებდნენ რეპორტიორთა მუდმივი კალმები.

— და მაშინ... — დაამთავრა მან ოდნავ გასაგონად, — მე მას ადგილი დავუთმე.

— როგორ? რანაირად? — ვკითხე ჩურჩულით:

— ავდექი და ვუთხარი: „დაბრძანდით“.

ორი ობოლი ცრემლი ჩამომიგორდა ლოყებზე, მაგრამ წუთის შემდეგ უკვე აღარ მრცხვენოდა ჩემი მღელვარებისა. ოთახში საერთოდ ტირილი გაისმა. ყველაზე ხმამაღლა მამაკაცები ქვითინებდნენ.

პოლონურიდან თარგმნა
**შოთა ამირანაშვილმა**



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

# დროშა

ეროვნული ბიბლიოთეკა



## მობრძანდით, მაგრამ უმანქანოდ...

„გულითადად მოგესალმებით შენ, მაგრამ არა შენს მანქანას“, — ასე იწყება მომცრო ფურცლებზე დაბეჭდილი ტექსტი, რომლებსაც ამსტერდამის მცხოვრებნი უცხოელი ტურისტების მანქანებზე აკრავენ. შემდეგ იმავე ფურცლებზე უკვე არც თუ ისე ზრდილობიანად, მანქანის მფლობელებს წინადადება ეძლევათ, რაც შეიძლება სწრაფად აიბარგონ ქალაქიდან.

ყოველივე ეს იმით არის გამოწვეული, რომ ამსტერდამი ძველი ქალაქია და მის ვიწრო ქუჩებში ადგილობრივ მკვიდრთა მანქანებსაც უჭირთ გავლა.



## ესეც პროფესიაა?!

პარიზის მეტროპოლიტენის თანამშრომელთა ისედაც მრავალრიცხოვანი კოლექტივი ამას წინათ კიდევ ექვსი კაცით გაიზარდა. ახალი თანამშრომლების მოვალეობა არც თუ ისე ადვილია: მათ ყოველდღე უნდა ჩამოიარონ მეტროპოლიტენის სადგურები და გულმოდგინედ წაშალონ უწმაწური წარწერები, რომლებიც დაუსრულებლად ჩნდება კედლებზე.



## პოლიტიკა და მსახიობის ოსტატობა

ჰოლივუდში პოლიტიკური მოღვაწეებისთვის გახსნილია სპეციალური სამსახიობო სკოლა. ამ სკოლაში უკვე 805 მსმენელი მეცადინეობს. სამსახიობო სკოლის ხელმძღვანელად დანიშნულია ქალი, რომელიც ორი წლის წინ კერძო გაკვეთილებს აძლევდა პრეზიდენტ ნიქსონს.

პრესკონფერენციაზე, რომელიც ამ სკოლის დარბაზში გაიმართა, სკოლის ხელმძღვანელმა განაცხადა: „მთავარია არა ის, თუ რას ამბობ, არამედ ის თუ როგორ ამბობ. ილაპარაკე რაც გინდა, ოღონდ თქვენი მიმიკა და ჟესტები მაღალ დონეზე უნდა იყოს. პოლიტიკური მოღვაწის წარმატებისათვის ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს“.



## თავარია ორთოგრაფია

ბოსტონის (ამერიკის შეერთებული შტატები) სასამართლომ დააკმაყოფილა ახალგაზრდა მასწავლებელი ქალის სარჩელი და იგი ქმარს დააშორა.

ოჯახის დანგრევის მიზეზი ასეთი იყო: ქმარმა, ბინის რემონტის დროს, ძველი შპალერი გამოცვალა და მის მაგიერ კედლებზე გააკრა თავისი ადრინდელი სატრფოებისა და თაყვანისმცემლების სასიყვარულო წერილები (ქმარი მსახიობი იყო).

„სატრფიალო ბარათების შინაარსისათვის მე ყურადღება არ მიმიქცევია. მაგრამ ნერვები მეშლებოდა, როცა ვხედავდი, თუ რა საშინლად უმეცარი იყვნენ ეს ქალები! არც ერთი ფრაზა სწორად არ იყო დაწერილი!“ — განაცხადა პროცესზე მასწავლებელმა ქალმა.



## ჩაწოლილი საქონელი

პარიზის საღამოს გაზეთში ასეთი განცხადება დაიბეჭდა: „ვარ მილიონერი, ახალგაზრდა, ლამაზი, ვეძებ საცოლეს, რომელიც თავისი გარეგნობით და სულიერი თვისებებით ჰგავს ჟ. დიუპონის ახალი რომანის „მთელი სიცოცხლის“ მთავარ გმირ ქალს“.

მეორე დღეს ქალაქის წიგნის ყველა მაღაზიასთან რიგები გაიმართა და აქამდე ჩაწოლილი რომანის მთელი ტირაჟი დაიტაცეს.



## „უწმინდური სულის“ განდევნა

არიზონის შტატის (აშშ) ერთი სკოლის ლიტერატურის მასწავლებელი ენ სტიუარტი გასული წლის ბოლოს სამსახურიდან დაითხოვეს იმის გამო, რომ მისი გარეგნობა ზუსტად ემთხვეოდა ამერიკულ ფოლკლორში აღწერილ ალქაჯების გარეგნობას. ენ სტიუარტს ჰქონდა ღია ფერის თმა, მწვანე თვალები, იგი დიდ მიდრეკილებას იჩენდა მწვანე ფერის ტანსაცმლისადმი. მარცხენა ყურის ბიბილო მას ძალზე მსხვილი ჰქონდა.

ბოლო ხანებში ენ სტიუარტი იმგვარად ივარცხნიდა თმებს, რომ ყურები დაემალა, ყელზე ჩამოკიდებული ჯვრის ტარებაც დაიწყო, მაგრამ მაინც არაფერმა არ უშველა.

— მე მაინც ბედნიერი ვარ, — მწარედ იღიმება უმუშევრად დარჩენილი ახალგაზრდა პედაგოგი, — მეჩვიდმეტე საუკუნეში რომ მეცხოვრა, კოცონზე დამწვავდნენ, თანამედროვე ამერიკაში კი მხოლოდ სამსახურიდან გამაძევეს.

გარეკანის პირველ გვერდზე: მდინარე გუბაზოული. ფოტო ნ. ანთიძისა.

მთავარი რედაქტორი გ. ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია: გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ს. დურმიშიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), მ. საკაშვილი, ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე.

საქ კპ ცკ-ის გამომცემლობა

ტექრედაქტორი დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ტ. თაბორიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის—99-54-66, პ/მგ. მდივნის—99-82-69, განყოფილებების—93-28-42, 99-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

გადაეცა ასაწყობად 9/VI-71 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/VI-71 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურც. 2. პირობით ნაბეჭდი ფურცელი 2,8. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 3,1. ტირაჟი 51.100. შეკვ. № 2146. უე 02081.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.



თელავი. მეფე ერეკლეს ძეგლი.

ფოტო ა. სეფიაშვილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სამხრობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზაფხულის დღე.

ფოტო ო. თურქიასი.

ИНДЕКС 76056